ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## თბილისში სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა 1 ლარი გახდება

გვ.6



მძღოლები მგზავრობის ტარიფის გაძვირებაზე უკვე გააფრთხილეს

25 ნოემბრიდან

პიტერ ბენჩლის ლეგენდარული ტრილერი

ყბები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი



პარასკევი, 25 ნოემბერი, 2016 №280 (7205) ფასი: 50 თეთრი

# ქალთა ჩხუბი პარლამენტში



გვ.2

თეა წულუკიანი ელენე ხოშტარიას:

## „მე რომ წიგნი მეჭირა ხელში,

თქვენ ძველბიჭობდით“



## ირაკლი სესიაშვილი: „კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ ნაციონალი უნდა ავირჩიოთ“



გვ.2

ემზარ კვიციანი: „ჩემს კანდიდატურას არ მოვხსნი“



## „დასავლეთში საქართველოს ხელისუფლების მიმართ კითხვები გაჩნდა“



გვ.4

ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოს კალიებივით მოედვნენ“

## თორნიკე შარაშენიძე: „საქართველოს გენერალ ჩაჩიბაიაზე უკეთესი კანდიდატურა არც ჰყავდა“

„შეიარაღებული ძალების მთავარი გამოწვევა პოლიტიზების ჩამოშორებაა“



გვ.3

## რა მოთხოვნას არღვევს ზურაბ ალავიძე



გვ.5



გვ.7

## გელა ნიკოლაიშვილი: „სტატისტიკურად 10-12 მკვლელობა ყოველთვიურად სისტემატურად ხდება“

## ვიქტორ დოლიძე: „კაბელების საქმეზე დაპატიმრება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო“



გვ.3



გვ.5

## დონალდ რამსფელდი: „საქართველო ამერიკის მოკავშირეა, რომელიც გვჭირდება და მას უნდა მივესალმოთ“

„საქართველო უნიკალურია იმ ახალ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდნენ“

## დემურ გიორხელიძე: „ვის რაში სჭირდება ეკონომიკა, როცა შეიძლება, ჰაერიდან ფული აკეთო?!“

გვ.6



## ლარი გამყარდა



გვ.6

ISSN 1987-9385

## სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

გვ.2

# ირაკლი სესიაშვილი: „კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ ნაციონალი უნდა ავირჩიოთ“

## ემზარ კვიციანი: „ჩემს კანდიდატურას არ მოვხსნი“

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში დიდი ამბები ტრიალებს. დიდი მცდელობისა და ვნებათაღელვის მიუხედავად, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა ვერ მოხერხდა. საუბარია ოპოზიციის კვოტით ასარჩევ მოადგილეზე, თორემ მეოცნებე მოადგილეები უკვე შეეჩვივნენ თანამდებობებს და თავიც სათანადოდ უჭირავთ.

პარლამენტში, მოგეხსენებათ, 2 ოპოზიციური პარტიაა და საკუთარი კანდიდატი ორივეს ჰყავდა. ნაციონალებმა ამ პოსტზე ირაკლი აბესაძე წარადგინეს, პატრიოტთა ალიანსმა კი – ემზარ კვიციანი.

ნაციონალების მტკიცებით, ემზარ კვიციანის ამ თანამდებობაზე არჩევა ქვეყნის დაქცევა იქნება, ემზარ კვიციანი კი ამბობს, რომ ნაციონალებს მისი იმის გამო ეშინიათ, რომ მათი ცოდვების გამოძიებას აპირებს.

ამ თემაზე დავა 18 ნოემბრიდან დაიწყო. საკითხი კენჭისყრაზე მხოლოდ გუშინ, 24 ნოემბერს, დადგა. განცხადებები კენჭისყრამდეც გაკეთდა. თავად კენჭისყრის პროცესი ხმაურიანად წარიმართა.

ნაციონალების ფალავან აბესაძეს კომიტეტის 8 წევრმა დაუჭირა მხარი, 5 დეპუტატი კი კვიციანის მხარეს დარჩა. რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, აბესაძე მაინც ვერ





გახდა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. საქმე ის გახლავთ, რომ, რეგლამენტის თანახმად, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ასარჩევად 9 კაცის მხარდაჭერაა საჭირო.

გაგიკვირდებათ და კენჭისყრის შედეგებით „ქართული ოცნება“ ძალიან განაწყენდა. არადა, წესით, აბესაძის არჩევა მათ ინტერესებში არ უნდა ყოფილიყო. არჩევნებამდე სულ იმას ამტკიცებდნენ, რომ ნაციონალები სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ, ახლა კი ამ პარტიის წარმომადგენელს უფლებას აძლევენ, საიდუმლო დოკუმენტებზე ჰქონდეს წვდომა.

მეოცნებეთა შეცბუნების მიზეზი კომიტეტის თავმჯდომარემ შეთანხმებით ახსნა და დაიჩივლა, გვინდა თუ არა, მოადგილედ ნაციონალის არჩევა მოგვიწევსო.

– მიუხედავად ჩვენი პირადი სიმპათია-ანტიპათიისა, ეს თანამდებობა ეკუთვნის უმცირესობას. ეს არის ჩვენი პოლიტიკური შეთანხმება. გვინდა თუ არა, მოადგილედ ნაციონალი უნდა ავირჩიოთ, ამიტომ მე გთხოვთ, ამ პოლიტიკურ შეთანხმებას მხარი დაუჭიროთ, – მიმართა კომიტეტის წევრებს ირაკლი სესიაშვილმა.

ამ განცხადებამ კვიციანი გააღიზიანა. მისი თქმით, არანაირ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია.

– არანაირი შეთანხმება არ ყოფილა. შეთანხმება რომ ყოფილიყო, პარტია ამ თანამდებობაზე არ წარმადგენდა, – განაცხადა კვიციანმა.

კომიტეტის სხდომის დასრულების შემდეგ ირაკლი სესიაშვილმა ჟურნალისტებისთვის კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება არ შეიცვლება.

მისი თქმით, „ქართული ოცნება“ უარს არ იტყვის პოლიტიკურ შეთანხმებაზე, რომლის მიხედვითაც, 15 თანამდებობიდან 12 ენმ-ს, 3 კი პატრიოტთა ალიანსს ეკუთვნის. პატრიოტთა ალიანსს კვოტები უკვე გამოყენებული აქვს.

მეოცნებეთა ანტიკვიციანური განწყობის მიუხედავად, ნაცმოძრაობა მაინც უკმაყოფილო იყო. ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ნადირაშვილმა საპარლამენტო უმრავლესობას სულ სამარცხვინოები უწოდა.

– ის, რაც მოხდა კომიტეტის სხდომაზე, იყო სამარცხვინო. ათვისებული აქვს პატრიოტთა ალიანსს სამივე კვოტა და, საერთოდ, კვიციანი არც კი უნდა დამდგარიყო კენჭისყრაზე, მაგრამ, იმდენად დიდია „ქართული ოცნების“ სურვილი, კვიციანი იხილონ ამ თანამდებობაზე, ამ დარღვევაზეც წავიდნენ.

უფრო მეტიც, კომიტეტის თავმჯდომარემ რეგლამენტი დაარღვია, როდესაც მე მოვითხოვე განმეორებითი კენჭისყრა. რეგლამენტში წერია, რომ ამის უფლება მქონდა, მაგრამ ფაქტია, „ქართული ოცნება“ ხელოვნურად ცდილობს, ამ პოსტზე კვიციანი წარადგინოს. სამწუხარო და სამარცხვინოა ეს ფაქტი. ჩვენ კვლავ წამოვაყენებთ ირაკლი აბესაძის კანდიდატურას, – განაცხადა ირმა ნადირაშვილმა.

ნადირაშვილის გაცეცხლების პათოსს არ იზიარებს ირაკლი სესიაშვილი.

მისი თქმით, აბესაძე რომ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვერ გახდა, ეს თავად ნაციონალების ბრალია.

– თავად უმცირესობის წარმომადგენლებს უნდა ვკითხოთ, იმიტომ რომ ისინი სრულად არ იყვნენ წარმოდგენილნი და ირმა ნადირაშვილი დაგვიანებით შემოვიდა. ისინი სრულად რომ ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი, ვფიქრობ, საკითხის გადაწყვეტის პრობლემა არ იქნებოდა, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ.



ემზარ კვიციანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეთანხმებას არ აღიარებს და აცხადებს, რომ კანდიდატურას არავითარ შემთხვევაში არ მოხსნის.

– რა თქმა უნდა, არ მოვხსნი ჩემს კანდიდატურას, არანაირი შეთანხმება არ ყოფილა. მე მახსოვს, ჯერ კიდევ კოდორის მიმართულების სარდალი ვიყავი, არ მქონდა საიდუმლოებასთან შეხების უფლება. რა შედეგი მივიღეთ? ვერ გავიგე ის, რომ აპირებდნენ ტერიტორიის გაყიდვას, – ამბობს ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.

მისი თანაპარტიელი და პარლამენტის ვიცესპიკერი ირმა ინაშვილი პოლიტიკური შეთანხმების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს.

ვიცესპიკერის განმარტებით, მას სპიკერ ირაკლი კობახიძესთან ჰქონდა საუბარი, მაგრამ ეს პოლიტიკურ შეთანხმებაში არ გადაზრდილა. ინაშვილი აცხადებს, რომ ისინი მოადგილეების პოსტებზე უარს არ იტყვიან.

– საუბარი მქონდა ირაკლი კობახიძესთანაც, ირაკლი სესიაშვილთანაც, მაგრამ მე ამას არ დავარქმევდი პოლიტიკურ შეთანხმებას. იქ არ ყოფილა კვოტირებაზე საუბარი, რამდენი ჩვენი წევრი უნდა წარგვედგინა მოადგილეებად. ჩვენი მიზანია, მცირე ფრაქცია ვართ და ყველგან ვიყოთ წარმოდგენილი. მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ რომელიმე კომიტეტში მოადგილეობაზე. ეს ჩვენი უფლებაა, ეს ჩვენი პრეროგატივაა და შემდეგ როგორც გადანაწილდება ხმები, ამას ვნახავთ. ეს ხომ დემოკრატიული პროცესია, რა პოლიტიკურ შეთანხმებაზე ვსაუბრობთ, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

ალიანსელებისგან განსხვავებით, შეთანხმების ფაქტს ადასტურებს უმრავლესობის კიდევ ერთი დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე. ამის მიუხედავად, ის უარს ამბობს ირაკლი აბესაძის მხარდაჭერაზე. 24 ნოემბერს გამართულ სხდომაზე მან კვიციანს დაუჭირა მხარი.

– არ მიმაჩნდა მიზანშეწონილად, რომ აბესაძისთვის დამეჭირა მხარი და არა – კვიციანისთვის. ჩემთან არ იყო კონსულტაციები და მაინც არ მივცემდი აბესაძეს ხმას, გამორიცხულია. კითხვის ნიშნები მქონდა მე ყოველთვის ნაციონალურ მოძრაობასთან, – აღნიშნა ჯაფარიძემ.

ჯაფარიძის გარდა, უმრავლესობიდან კვიციანს მხარი კობა ნარჩემაშვილმა და კობა კობალაძემაც დაუჭირეს. ორივე კანდიდატის მხარდამჭერი აღმოჩნდა ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ თავმჯდომარე სიმონ ნოზაძე.



# ქალთა ჩხუბი პარლამენტში

## თეა წულუკიანი ელენე ხოშტარიას: „მე რომ წიგნი მეჭირა ხელში, თქვენ ძველბიჭობდით“

შორენა მარსაგიშვილი

საკანონმდებლო ორგანოში გუშინ, 24 ნოემბერს, 3 კაცით განახლებული მთავრობის მოსმენები გაიმართა.

ყველაზე ხმაურიანი იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის მოსმენა გამოდგა. მას სერიოზული დაპირისპირება მოუხდა ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ელენე ხოშტარიასთან, რომელსაც მინისტრმა ძველბიჭობაც კი წამოაძახა.

ორი ქალის დავაში მალე მესამეც ჩაერია. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ, ბუნებრივია, მინისტრი ქალის მხარე დაიჭირა.

პირველი იერიში წულუკიანმა ოპონენტებზე მიიტანა. ისეთი ტონით მიულოცა მინისტრმა მათ პარლამენტში შესვლა, უმცირესობამ სიმწრით თვალები დააჭყიტა.

– პირველ რიგში, მივესალმები ნაციონალური მოძრაობის აქ წარმოდგენილი წევრების გადაწყვეტილებას, რომ შემოსულიყვნენ საქართველოს პარლამენტში. ეს ის არ იყო, რაც მოვისმინე არჩევნების ღამეს ცესკოსთან გამართულ ომახიან მიტინგზე. გილოცავთ ამ გადაწყვეტილებას და გილოცავთ, რომ გაემიჯნეთ მავანს, რომელიც აპირებდა გვირაბის მეშვეობით საქართველოსთან კავშირის დამყარებას.



მილოცვის შემდეგ დგება კითხვები... მე ძალიან მიჭირს, სერიოზულად ვუპასუხო თქვენს კითხვებს, მაგრამ ასეთია ჩემი პასუხისმგებლობა და ამიტომ გიპასუხებთ. ქალბატონო ელენე, ნუ შემაწყვეტინებთ, მე არც ბავშვობაში ძველბიჭობაში გეჯიბრებოდით, – ასე დაიწყო წულუკიანმა.

მისი ირონია ელენე ხოშტარიას უპასუხოდ არ დაუტოვებია და მინისტრს უთხრა, რომ მისი ბავშვობა სულაც არ ახსოვდა.

აღმოჩნდა, რომ წულუკიანს ახსოვდა ყველაფერი.

– მე მახსოვხართ. ჩვენ ყოველთვის სხვადასხვა ადგილას ვიდექით. მე როცა წიგნს ვკითხულობდი, თქვენ ძველბიჭობდით პლეხანოვზე. ეს არ არის ჩემი სტილი, – მიმართა მინისტრმა დეპუტატს.

მან ესეც არ აკმარა და სანდრო გირგვლიანი გაიხსენა, რომელიც ხოშტარიას მეგობარი იყო.

როგორც იუსტიციის მინისტრობის კანდიდატმა აღნიშნა, ელენე ხოშტარიამ, რომელიც სანდრო გირგვლიანის მეგობარი იყო, უღალატა ირინა ენუქიძის ხსოვნას და ოთო კახიძის გვერდით მოკალათდა.

– გისამძიმრებთ ამ მორალურ, იმედია, დროებით კრახს. ზიხართ იმ კაცის გვერდით, რომელიც დღეს ვანო მერაბიშვილს იცავს. მე მაქვს გამოხატვის თავისუფლება, რომელსაც ვერავინ წამართმევს, მათ შორის, მორალური კრახის პირობებში მჯდარი ქალბატონი დეპუტატი, რომელმაც უღალატა ირინა ენუქიძის ხსოვნას და მოკალათდა ოთო კახიძის გვერდით, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

სანდრო გირგვლიანთან დაკავშირებით ხოშტარიამ მინისტრს მოგვიანებით არასაპარლამენტო ტრიბუნიდან გასცა პასუხი, პარლამენტში კი სხვა საკითხზე აუტეხა ხმაური.

მან წულუკიანს რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა, რაზეც ადრესატმა განმარტა, რომ ეს საქმე არ აინტერესებს.

ამის შემდეგ დეპუტატმა მინისტრი სასამართლოს გადაწყვეტილებებში ჩარევაში დაადანაშაულა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ბოლაჯურის ადმინისტრაციულ ერთეულში როლანდ ჩხიტუნიძე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ როლანდ ჩხიტუნიძემ მოქალაქეს საქონლის ყალბი წარმომავლობის ცნობის დამზადების სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 2.000 ლარი, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6-დან 9 წლამდე).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თორნიკე შარაშენიძე: „საქართველოს გენერალ ჩაჩიბაიაზე უკეთესი კანდიდატურა არც ჰყავდა“

## „შეიარაღებული ძალების მთავარი გამოწვევა პოლიტიზების ჩამოშორებაა“

ნათია ხურცილავა

საქართველოში ნატოს საინფორმაციო ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი, ჯიპას პროფესორი **თორნიკე შარაშენიძე**, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო თორნიკე, ცოტა ხნის წინ გენერალურ შტაბში მოხდა ცვლილება. მას შემდეგ, რაც ვახტანგ კაპანაძეს უფლებამოსილების ვადა ამოეწურა, გენშტაბის უფროსად გენერალი ჩაჩიბაია დაინიშნა. თქვენ როგორ აფასებთ აღნიშნულ ცვლილებას?***

– გენერალი ჩაჩიბაია არის ის ადამიანი, რომელსაც შეიარაღებულ ძალებში პრაქტიკულად ყველა პატივს სცემს. ის არის პროფესიონალი, რომელსაც აქვს მაღალი დონის კვალიფიკაცია.

***– ნატოს ოფიციალური პირების დამოკიდებულება როგორია მისდამი?***

– მას ძალიან დიდ პატივს სცემენ ნატოში და ძალიან კარგი ურთიერთობები აქვს ნატოს წარმომადგენლებთან. ის მართლაც კარგი კანდიდატურაა გენერალური შტაბის ხელმძღვანელის პოზიციაზე. ამ ეტაპზე უკეთესი კანდიდატურა საქართველოს არც ჰყავდა. ამდენად, მე მივესალმები მის დაწინაურებას.

***– გენერალმა ჩაჩიბაიამ უკვე განაცხადა, რომ გენშტაბში გეგმავს სტრუქტურულ ცვლილებებს და, ალბათ, საკადრო ცვლილებებიც მოხდება. რა სტრუქტურულ ცვლილებებზე შეიძლება იყოს საუბარი?***

– შიგნით რა ხდება და რა სტრუქტურული ცვლილებებია საჭირო, ეს ყველაზე უკეთესად მან იცის, მაგრამ მე, როგორც გარედან დამკვირვებელ ადამიანს, მთავარ პრობლემად მიმაჩნია შეიარაღებული ძალების პოლიტიზება, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ძალიან სერიოზულ დონეზეა პოლიტიზებული შეიარაღებული ძალები. ოფიცრებს სთხოვენ, თავიანთი ლოიალობა დააფიქსირონ არსებული მმართველი პოლიტიკური ჯგუფის მიმართ. ეს ხდებოდა ადრე და ეს ხდება დღესაც. ეს არის ყველაზე სერიოზული პრობლემა. ამის კატასტროფული პიკი იყო 2012 წელს გენშტაბის უფროსის დაპატიმრება.

***– გენერალ კალანდაძეს გულისხმობთ?***

– რა თქმა უნდა. ამით გამოჩნდა, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაა შეიარაღებულ ძალებში. არადა, ქვეყანაში შეიარაღებული ძალები ყოველთვის პოლიტიკაზე მაღლა უნდა იდგეს.

***– პოლიტიკური შემადგენლის ჩამოშორება იქნება მთავარი გამოწვევა ვლადიმერ ჩაჩიბაიასი?***

– ეს სულ გამოწვევაა, მოყოლებული იქიდან, რაც ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები არსებობს.

***– რაც შეეხება თავდაცვის სამოქალაქო ნაწილს, იზორიას პოლიტიკას როგორ აფასებთ?***

– არ ვიცი, რა არის მინისტრის პოლიტიკა, რადგან ჯერჯერობით არ არის ის დოკუმენტი გამოქვეყნებული, რომელიც შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის და რომლის მიხედვითაც შეგვეძლებოდა უფრო ფართოდ მსჯელობა.

რამდენიმე ინციდენტი იყო, რომელიც მსხვერპლით დასრულდა, სამწუხაროდ. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი თავდაცვის უწყებაში იზორიას მოღვაწეობას არ გააუმჯობესებს და დადებითად არ ჩაეთვლება. იზორიას თავდაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა და, ბუნებრივია, რომ თავიდანვე მას გაუჭირდებოდა. რამდენად სწორი იყო აღნიშნული საკადრო გადაწყვეტილება, ეს რთული სათქმელია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები მას შემდეგ, რაც პარლამენტი მას ნდობას გამოუცხადებს.

***– თავის დროზე, როდესაც იზორიას წინამორბედმა სამხედრო-სავალდებულო სამსახური გააუქმა, ხიდაშელის ამ გადაწყვეტილებამ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. იზორიამ ეს გადაწყვეტილება გააუქმა. რამდენად თავსებადია ნატოს სტანდარტთან სავალდებულო-სამხედრო სამსახური?***



– მერწმუნეთ, არანაირი გადამწყვეტი ფაქტორი ეს არ იქნება ნატოსთან თანამშრომლობის საქმეში. გაწვევის არც გაუქმება და არც აღდგენა არანაირ როლს არ ითამაშებს. ხიდაშელის მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი, ალბათ, უფრო პოლიტიკური იყო. ვერ გეტყვით, რამდენად ჰქონდა მას გააზრებული, თუ რამდენად სჭირდებოდა მისი გადაწყვეტილება შეიარაღებულ ძალებს. ალბათ, უფრო პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რათა პოლიტიკური ქულები ჩაეწერა. მე, როგორც ლიბერალი ადამიანი, თეორიულად შეიძლება მხარს ვუჭერდე სავალდებულო გაწვევის გაუქმებას, მაგრამ შეიარაღებულ ძალებში რა მდგომარეობაა, რა საჭიროება, არ ვიცი.

***– სტრატეგიული ობიექტების დაცვის საკითხზეც მინდა გკითხოთ. ბოლო შემთხვევამ, რომელსაც ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, გამოაჩინა, რომ ამ მიმართულებით სერიოზული პრობლემა გვაქვს.***

– ეს იყო შემაშფოთებელი ფაქტი, როდესაც ადამიანი დაიღუპა და მეორე ის, რომ ტრისტან წითელაშვილი იყო რაღაც ობიექტზე შესული. ესეც კატასტროფის ტოლფასი იყო, ჩემი აზრით. როგორც ჩანს, რაღაც-რაღაცები მთლად წესრიგში არ არის.

***– თინა ხიდაშელმა თქვა, რომ მუდმივად გვქონდა ეს პრობლემა, მაგალითად, მწყემსების მხრიდან, რომლებიც ისე შედიან ობიექტებზე, რომ არც კი იციან, თუ სად ხვდებიან. სად არის აქ ნატოს სტანდარტები, რამდენად არის სტრატეგიული ობიექტები დაცული?***

– ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დაუდევრობასა და უდისციპლინობასთან. ნატოს ზოგიერთ წევრ ქვეყანაშიც შეიძლება, მსგავსი რაღაცები მოხდეს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი დისციპლინის ამბავია. ეს უფრო ამ ტიპის პრობლემაა, ვიდრე სტანდარტების.

***– ნატოს მომავალთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. ტრამპის ცნობილმა განცხადებამ ევროპა საგონებელში ჩააგდო. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ, არ არის გამორიცხული, ნატოს ყოფნა-არყოფნა დღის წესრიგში დადგეს. ეს რამდენად რეალურია?***

– თავის დროზე ტრამპის დემონიზება მოხდა. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ წინასაარჩევნო კამპანიის ბევრი განცხადება, ზოგადად რიტორიკა შეცვალა მან. ამდენად, ეს ყველაფერი საარჩევნო ხმების მოპოვებას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე რეალურ პოლიტიკას. ისე, რა თქვა ტრამპმა ნატოზე განსაკუთრებული?! მან თქვა, რომ მოითხოვს ევროპელი პარტნიორებისგან, უფრო მეტი ფული დახარჯონ თავდაცვაზე, მიეჩვივნენ ამერიკის კმაყოფაზე არსებობას, მე დავაფასებ მათ, ვინც ამერიკას ეხმარება ნატოს ოპერაციებშიო.

ტრამპის ეს განცხადება ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია. ჩვენ ნატოსთვის უფრო მეტს ვაკეთებთ, ვიდრე, მაგალითად, დანია და ბელგია. ევროპა მიეჩვია ნაჩუქარ უსაფრთხოებას. უსაფრთხოება ნაჩუქარი ვერ იქნება მუდმივად, შენც უნდა გაიღო ამისთვის რაღაც. ამდენად, ჩვენთვის ამ განცხადებაში კატასტროფული არაფერი თქმულა.

# ვიქტორ დოლიძე: „კაბელების საქმეზე დაპატიმრება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო“




– როგორც ადრე ვამბობდი, ახლაც იმავეს ვიმეორებ – კაბელების საქმეზე პირების დაპატიმრება იყო წინა პრემიერის პერიოდში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება.

ასე უპასუხა მინისტრთა კაბინეტის ახალი წევრობის კანდიდატმა ვიქტორ დოლიძემ კითხვას, რჩება თუ არა პოზიციაზე, რომ კაბელების საქმე არის პოლიტიკურად მოტივირებული და ამ საქმეზე მსჯავრდებული პირები პოლიტიკური პატიმრები არიან.

როგორც ვიქტორ დოლიძემ აღნიშნა, ის თავის პოზიციაზე რჩება და იმედი აქვს, რომ ეს ადამიანები რაც შეიძლება მალე გათავისუფლდებიან.

– ჩემთვის უმთავრესია პრინციპები და ღირებულებები, რასაც არასდროს გადავუხვევ. დანარჩენი სხვა – თანამდებობა – მეორეხარისხოვანია. რაც შეეხება ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და ამ მიმართულებით გადასადგმელ ნაბიჯებს, გიორგი კვირიკაშვილის გუნდში არის სწორი გადაწყვეტილება. არ მაქვს ერთი კითხვაც კი, სწორად მოვიქეცი თუ არა. კაბელების საქმე და იმ ხუთი ადამიანის დროულად გათავისუფლება ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა. ვფიქრობ, აქედან უფრო მეტის გაკეთებასა და მხარდაჭერას შევძლებ, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# სალომე სამადაშვილი მიხეილ ჯანელიძეს: „სანამ მინისტრად დაინიშნებოდით, სემინარი უნდა გაგევლოთ“

– სანამ მინისტრად დაინიშნებოდით, რამე სემინარი უნდა გაგევლოთ იმის შესახებ, რა არის საერთაშორისო ორგანიზაციები.

ასე მიმართა ნაციონალური მოძრაობის წევრმა სალომე სამადაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატ მიხეილ ჯანელიძეს, რომელსაც საგარეო ურთიერთობათა, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე მოუსმინეს.




სამადაშვილი დაინტერესდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში რომელიმე პარლამენტის რეზოლუციაში ან საერთაშორისო დოკუმენტში თუ დაფიქსირდა საქართველოს ტერიტორიების, როგორც ოკუპირებულის, სტატუსი დამატებით, გარდა ევროპარლამენტის, აშშ-ის კონგრესის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, პოლონეთისა და ესტონეთის პარლამენტებისა, რომელთა მიღებულ დოკუმენტებშიც ეს სტატუსი 2012 წლამდეც დაფიქსირდა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრები ასევე დაინტერესდნენ, ხომ არ იზიარებს მიხეილ ჯანელიძე სალომე ზურაბიშვილის აზრს, რომ ოკუპანტის სტატუსი რუსეთისთვის საქართველოს მოლაპარაკებებში ზღუდავს.

– 2012 წლამდე არცერთ დოკუმენტში, არცერთ ორგანიზაციაში არანაირი გადაწყვეტილება მიღებული არ არის კონფლიქტთან დაკავშირებით. არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში, ისეთებში, რომელიც მუშაობს კონფლიქტების საკითხებზე, 2012 წლამდე არცერთი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული, – განაცხადა ჯანელიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატის ამ პასუხს სხდომაზე კამათი მოჰყვა. ნაციონალური მოძრაობის წევრებმა მიხეილ ჯანელიძეს შეახსენეს ევროპარლამენტის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული დოკუმენტები.

– იყო ევროპის პარლამენტი, კონგრესი, პოლონეთი და კიდევ რამდენიმე ქვეყანა, მაგრამ არცერთ საერთაშორისო ორგანიზაციას არ მიუღია გადაწყვეტილება 2012 წლამდე, – აღნიშნა ჯანელიძემ, რაზეც სალომე სამადაშვილის პასუხი იყო, რომ მას საერთაშორისო ორგანიზაციების რაობის გასარკვევად სემინარი უნდა გაევლო.

– ძალიან სამწუხაროა, რომ თქვენ გაღიზიანდით იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც 2016 წელს იქნა მიღებული საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. თუ ოპოზიცია დაგვეხმარება კიდევ დამატებითი შედეგების მიღწევაში და ხელს არ შეგვიშლის, მისასალმებელი იქნება. ჩვენ აქტიურად ვმოქმედებთ და 2016 წელს მივიღეთ ის შედეგები, რომელიც არასდროს მიუღია საქართველოს ამ მიმართულებით, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ქალთა ჩხუბი პარლამენტში

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ეს ამბავი ძალიან არ მოეწონა ეკა ბესელიას. მან ხოშტარიას წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში სხდომას დაატოვებინებდა.

ბესელიას მხარი აუბა წულუკიანმაც და ნაციონალების გამწარების მიზეზი ახსნა.

– ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს გწყინთ ის, რომ ველარ აკონტროლებთ საერთო სასამართლოების სისტემას. ეს დიდი ტკივილია თქვენთვის. მე მესმის, რომ დღეს თქვენ სასამართლოს ველარ აკონტროლებთ და ხართ დაზაფრულები. კიდევ ბევრი მიზეზი გაქვთ, იყოთ დაზაფრულები და ახლა „ოცნების“ მინისტრების კანდიდატებზე თავდასხმით უმტკიცებთ ვიღაცას ოდესაში, რომ ისევ ნაციონალები ხართ, – განაცხადა წულუკიანმა.

* * *

სანდრო გირგვლიანთან დაკავშირებით ხოშტარიამ მინისტრობის კანდიდატს ტვ პირველის ეთერით უპასუხა.

მან წულუკიანი ამ თემით სპეკულირებაში დაადანაშაულა.

– განსხვავებით ქალბატონი თეასგან, მე არასოდეს მისპეკულირებია სანდროს სახელით მაშინაც კი, როდესაც ჩემთვის შეიძლება ძალიან მომგებიანი ყოფილიყო, რომ მეთქვა, დიახაც, ვაპროტესტებდი. ამაზე არასოდეს მისაუბრია. ახლაც ამაზე საუბარი მიმაჩნია ძალიან ამორალურად, რომ ქალბატონი თეა და ეს ხელისუფლება



ზოგადად ხან სპეკულირებს ბარბარე რაფალიანცის სახელით, ხან სანდრო გირგვლიანისა და ბევრი სხვა თემით მაშინ, როდესაც ისინი დღეს პასუხისმგებლები არიან ზუსტად ისეთივე უსამართლობაზე. მე აქ მკაფიოდ შემიძლია გითხრათ, რომ სანდრო გირგვლიანის საკითხი ჩემთვის იყო ძალიან დიდი უსამართლობა და სწორედ ამიტომაც ვაპროტესტებდი და დღეს ამ საკითხით სპეკულირებს თეა წულუკიანი, რომელიც არის პასუხისმგებელი ადამიანის პირად ცხოვრებაში შეღწევასა და ამის გამოქვეყნებაზე, – აღნიშნა ხოშტარიამ.

* * *

მინისტრებისა და დეპუტატების დაპირისპირება ამ დღეებშიც გაგრძელდება.

დღეს, 25 ნოემბერს, მთავრობას საპარლამენტო ფრაქციებზე მოუსმინენ, 26 ნოემბერს კი მისთვის ნდობის გამოსაცხადებლად რიგგარეშე სხდომა გაიმართება.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „დასავლეთში საქართველოს ხელისუფლების მიმართ კითხვები გაჩნდა“

## ზაალ კასრელიშვილი: „რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოს კალიებივით მოედვნენ“

შორენა მარსაგიშვილი



რა ეჭვები აქვთ დასავლეთში საქართველოს მიმართ, რატომ შეგვეხვეწება აქეთ ნატო, რას გეგმავენ რუსული სპეცსამსახურები? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში **ზაალ კასრელიშვილი** ესაუბრება.

***— თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ ქართულ პოლიტიკაში ძირითადად ბუდარიები არიან, მაგრამ ბუდარიებისგანაც მოულოდნელი იყო პოლიტიკიდან ასე მასობრივი გაქცევა. თქვენ ამ პროცესს რით ხსნით?***

— უკვე დადგა დრო, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ — საქართველოში ხელისუფლებაში პირადი სარგებლობის საძიებლად მოდიან. პოლიტიკოსების დიდ ნაწილს არანაირი სურვილი არა აქვს, ქვეყანას ემსახუროს. პოლიტიკიდან გაქცეულებმა დაინახეს, რომ პოლიტიკაში ყოფნით სარგებელი არ ექნებოდათ და ამიტომ გაიქცნენ, ზოგი ბიზნესში წავიდა, ზოგიც — უცხოეთში. ამ ყველაფრის თავიდათავი ის გახლავთ, რომ ისინი იდეისთვის მებრძოლი ადამიანები არ არიან.

***— რა პროცესები წავა ამის შემდეგ, მესამე ძალა არ ჩანს, არც იდეის გარშემო აპირებს ვინმე გაერთიანებას. ეს უძრაობა რამდენ ხანს გაგრძელდება?***

— იდეის გარშემო იმიტომ არ ხდება გაერთიანება, რომ იდეა არ არის. მინდა, თქვენს მკითხველს გავახსენო გასული საუკუნის 90-იანი წლები, პროცესები, რომლებიც 1987 წელს დაიწყო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პოლიტპატიმრები ციხეებიდან გამოუშვეს. საქართველოში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რაც 1990 წელს გამარჯვებით დასრულდა. ეროვნული მოძრაობის მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა იყო და მან ამ მიზანს მიაღწია. მიზანს იმიტომ მიაღწია, რომ გლობალური პროცესები ჩვენ სასარგებლოდ განვითარდა, ეროვნულ მოძრაობას ჰყავდა გამოკვეთილი ლიდერები და მოსახლეობამ ამ ლიდერებთან ერთად ბოლომდე იბრძოლა.

დღეს საქართველოში იდეა არ არის, შესაბამისად, არ არის იდეოლოგია, არ არიან გამოკვეთილი ლიდერები და საზოგადოება მათ გარშემო ამიტომ ვერ ერთიანდება. ასეთი რამე არც უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი. არ შეიძლება, გმირიც იყო და როკფელერიც. საქართველოში ყველას უნდა, იყოს სარდალი, მაგრამ წინა ხაზზე არავინ მიდის, რადგან იქ შეიძლება მოკვდეს.

ამ მიზეზების გამო საქართველოში არსებული ვითარება კიდევ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდება. არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით დასავლეთში უკვე გაჩნდა გარკვეული კითხვები. ეჭვებია ხელისუფლების მიმართაც.

***— რა კითხვებსა და ეჭვებზე საუბრობთ?***

— არჩევნების შემდეგ რამდენიმე ინტერვიუ მივეცი დასავლურ მედიასაშუალებებს. ისინი მეკითხებოდნენ ხელისუფლების უპრინციპობაზე, კოლაბორაციონიზმსა და იდეის არქონაზე. შევეცადე, ეს ეჭვები გამეფანტა, არა იმიტომ, რომ მოხიბლული ვარ დღევანდელი ხელისუფლებით, უბრალოდ, ქვეყნისთვის არ არის კარგი, ასეთი მოსაზრება რომ იკიდებს ფეხს დასავლეთში.

ჩვენთან რატომღაც დაიკეტა მედიასაშუალებები, არ შუქდება, გარეთ ვინ რას ლაპარაკობს ჩვენზე. მეტსაც გეტყვით, საქართველოში პროვინციელი ჭორიკანების დრო დადგა. ახლა აქ ის უფრო აინტერესებთ, ვინ ვისთან წევს და ვის რა ფერის საცვალი აცვია. სამაგიეროდ, არავის აინტერესებს, რა ხდება რეგიონში. ამ დროს ისეთ უხერხულ კითხვებს გვისვამენ დასავლეთში, რომ ხმის ამოღებაც გვიჭირს — სიმართლის თქმა ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ წასვლას ნიშნავს.

***— მაინც რა კითხვებს სვამენ ასეთს, იმაზე ხომ არა აქვთ ეჭვი, რომ საქართველოს გეზი ევრაზიული კავშირისკენ აქვს აღებული?***

— მათ ამასთან დაკავშირებითაც აქვთ კითხვები. ბევრი რამეა, რაზეც პასუხის გაცემა გვიჭირს.

***— ამ კითხვაზე რატომ გიჭირთ პასუხის გაცემა, თქვენც ფიქრობთ, რომ ევრაზიული კავშირისკენ მივდივართ?***

— არ მინდა დავიჯერო, რომ ხელისუფლებაში ვინმეს მიზანია არარსებულ, გაუგებარ და უპერსპექტივო ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება. მინდა მჯეროდეს, რომ ეს არის დროის მოგების მიზნით გაწელილი თამაში იქამდე, ვიდრე რუსეთი და დასავლეთი ურთიერთობას არ გაარკვევენ. მანამდე კი კავკასიის ხალხთა კონფედერაციას ძალიან უხერხულ მდგომარეობაში მოგვიწევს ყოფნა.

დასავლეთში ძალიან უკვირთ, ჩვენი ნათელი მომავლისთვის მეტს რატომ არ ვაკეთებთ. 2010 წელს დასავლეთში ერთ-ერთ სერიოზულ შეკრებაზე ვიყავი. იქიდან რომ დავბრუნდი, აქაურ მედიაში მივეცი ინტერვიუები და ვთქვი, რომ საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა ძალიან შორეული სურვილებია. ახლაც იმავეს გავიმეორებ. რაც შეეხება ნატოს, პროცესები ისე ვითარდება, რომ ნატო აქეთ შეგვეხვეწება იმას, რასაც აქამდე ჩვენ ვეხვეწებოდით. ახლა მთავარია, შიგნით გავძლიერდეთ და ეკონომიკის განვითარებაზე ვიფიქროთ.

***— გინდათ თქვათ, რომ კარს ფართოდ გააღებენ და დაგვიწყებენ ძახილს, მობრძანდითო?***

— კალთებს ნამდვილად არავინ დაგვახევს, მაგრამ ინტერესი უდიდესი იქნება. კავკასია, როგორც გეოგრაფიული რეგიონი, ძალიან სერიოზულ მნიშვნელობას იძენს. საქართველო გახლავთ ქვეყანა, რომელიც ამ რეგიონში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორისაა გაწოლილი. ამ ქვეყანას ჭკვიანი ხელისუფლება თუ ეყოლება, მას ძალიან ბევრ პროცესზე შეუძლია დადებითი გავლენის მოხდენა.

***— ეს ჭკვიანი ხელისუფლება არის სადმე?***

— ადრე თუ გვიან გამოჩნდება. მაშინ მართლაც დიდი მნიშვნელობის ქვეყანა გახდება საქართველო.

***— რუსეთს არაერთხელ უთქვამს, რომ არ დაუშვებს მის საზღვრებთან ნატოს მოახლოებას. მშვიდად დაელოდებიან, როდის გაგვიღებს ალიანსი კარს?***

— რუსეთი რას იზამს, ამაზე მკითხაობა საჭირო არ არის, რადგან რუსეთი უკვე შვრება. რუსეთის სპეცსამსახურები და მისი აგენტები საქართველოს კალიებივით მოედვნენ. ისინი თავიანთ გასაკეთებელს უკვე აკეთებენ როგორც პოლიტიკაში, ასევე მედიასა და ეკონომიკაში. ასე რომ, ვინ რას გააკეთებს იმისთვის, რომ თავისი ინტერესები გააძლიეროს კავკასიაში, შედარებით მეორეხარისხოვანია. მთავარია, შენ რას აკეთებ შენი ქვეყნისთვის. საქართველოს აქვს უნიკალური შანსი, გახდეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და პატივსაცემი ქვეყანა.

***— მოდით, ისევ პოლიტიკურ პარტიებს დავუბრუნდეთ. წინ გვაქვს თვითმმართველობის არჩევნები. თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ პარტიებს პატრონები, პროდასავლურებსა და პრორუსულებს, ცალ-ცალკე ბლოკებად გააერთიანებენ. ეს ისევ ძალაშია? საპარლამენტო არჩევნების წინ ასეთი გაერთიანება არ მომხდარა.***

— გულწრფელად გითხრათ, მეეჭვება, წაგებულ პარტიებზე პატრონებმა ფსონი ისევ დადონ. არც გამარჯვებულ პარტიებზე ჩამოვლენ ფსონს. ისინი უფრო უმრავლესობაში დაიწყებენ ინტერესჯგუფების ძებნას, მერე მათ თავიანთ ინტერესებს მიაბამენ. როგორც ამბობენ, ყოფილი აგენტები არ არსებობენ. რაღაც განსაკუთრებულს 2017 წლის არჩევნებზე არ ველოდებით, თუ ადრე გაზაფხულზე გლობალური პოლიტიკური პროცესები განსაკუთრებულ მესიჯებს არ გამოგზავნის.

***— ანუ უძრაობის ხანაში, სულ მცირე, ნახევარი წელი მოგვიწევს ყოფნა.***

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პროცესი, შესაძლოა, რამდენიმე წელი გაგრძელდეს. ამასთან, დიდი იმედი გვაქვს, რომ ტრამპის პრეზიდენტობა პროცესებს გამოაცოცხლებს და დასავლეთი კავკასიის რეგიონით დაინტერესდება. დასავლეთსა და რუსეთს შორის ვითარება ან კიდევ უფრო გამწვავდება, ან თანამშრომლობის რეჟიმში გადავა. კავკასიის რეგიონში სათანამშრომლო ძალიან ბევრია.

## საქართველოს მთავრობა ხუდონჰესთან დაკავშირებით ახალ გეგმას წარმოადგენს



საქართველოს მთავრობა ხუდონჰესთან დაკავშირებით ახალ კონკრეტულ გეგმას წარმოადგენს.

ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრობის კანდიდატმა კახა კალაძემ რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, ეს გეგმა თანხვედრაში იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან.

— ჩვენ ყველა ვთანხმდებით, რომ ხუდონჰესი არის ერთ-ერთი ყველაზე ენერგეტიკული პროექტი ქვეყანაში. ის არის დაახლოებით 702 მეგავატი სიმძლავრის. მიგვაჩნია, რომ ეს პროექტი აუცილებლად უნდა განხორციელდეს, თუმცა, ვიცით, რომ ამ პროექტს აქვს გარკვეული პრობლემები და ეს პრობლემები არის გადასაწყვეტი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად.

ჩვენ ვაპირებთ, რამდენიმე ხანში კონკრეტული გეგმა წარმოვადგინოთ ამ პროექტთან მიმართებაში. შესაბამისად, დარწმუნებული ვარ, რომ ეს გეგმა ადგილობრივ მოსახლეობასთან იქნება თანხვედრაში, რათა ეს პროექტი განხორციელდეს.

გარდა იმისა, რომ ჩვენ ამ პროექტის განხორციელებით ვიძენთ ენერგეტიკულად უმნიშვნელოვანეს პროექტს, ეს ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნას, — განაცხადა კალაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## ალექსანდრე ჯეჯელავა: „ნაცმოძრაობამ სკოლებში პოლიტიზებული სისტემა შექმნა“




— ნაციონალურმა მოძრაობამ სკოლებში ისეთი პოლიტიზებული სისტემა შექმნა, რომლის სრული დეპოლიტიზება, იმის მიუხედავად, რომ წლებია, ამ მიმართულებით ვმუშაობთ, ვერ მოხერხდა.

ამის შესახებ განათლების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ჯეჯელავამ პარლამენტში გამართული მოსმენისას სკოლების დეპოლიტიზაციის თაობაზე დასმული კითხვის პასუხად განაცხადა.

— საპარლამენტო არჩევნებზე სკოლების რესურსცენტრებისა და ადმინისტრაციის მონაწილეობა გამოვრიცხეთ. სადაც ცალკეულ შემთხვევაში ფუნქციონერებმა ეს დაარღვიეს, ვაპირებთ, თითოეულ ასეთ შემთხვევაზე რეაგირება მოვახდინოთ.

ხშირ შემთხვევაში, ეს ის რესურსცენტრის ხელმძღვანელი, სკოლის დირექტორი და მოადგილეები არიან, რომლებსაც ვერ დაუჯერებიათ, რომ ჩვენი დავალებაა, არ მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში.

ეს გაგრძელდება და აუცილებლად მივაღწევთ 100%-იან დეპოლიტიზაციას, — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

**ინტერპრესნიუსი**

## ზურაბ ჭიაბერაშვილი: „მინისტრობის კანდიდატებს სავალუტო ფონდმა ცივი წყალი გადაასხა“




საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი ზურაბ ჭიაბერაშვილი მთავრობის ეკონომიკური გუნდის კანდიდატებისგან ინტერესდება, თუ რატომ არის ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა შეჩერებული.

როგორც ჭიაბერაშვილმა რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა, მინისტრობის კანდიდატების რიხიან პრეზენტაციებს სავალუტო ფონდმა ცივი წყალი გადაასხა.

— რიხიან პრეზენტაციებს, რომლებიც აქ მოვისმინეთ, სავალუტო ფონდმა ცივი წყალი გადაასხა. სავალუტო ფონდმა 2.7%-მდე შეამცირა ეკონომიკური ზრდის პროგნოზი. ასევე შეამცირა პროგნოზი მომავალი წლისთვის 5%-დან 4%-მდე.

რა არის მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდა შეჩერებულია?

ძალიან პესიმისტური სცენარი აქვს სავალუტო ფონდს. პენსია გაიზრდება თუ არა? რატომ არის კლება ინვესტიციებში ენერგეტიკის მიმართულებით? — მიმართა მინისტრობის კანდიდატებს ჭიაბერაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## მიხეილ გიორგაძე: „კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი გადასახედია“



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ძველი თბილისის რაიონში საკადასტრო ერთეულებისათვის მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის გადახედვას გეგმავს.

აღნიშნულ საკითხზე განმარტებები კულტურის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა და მომავალ მინისტრთა კაბინეტში ამავე თანამდებობაზე წარდგენილმა მიხეილ გიორგაძემ პარლამენტში სამი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გააკეთა.

— ცოტა ხნის წინ დასრულდა იმ მისამართების ინვენტარიზაცია, სადაც რეესტრში აღნიშნულია, რომ მას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი. ინფორმაცია გადაცემულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში. ჩვენ ამ მისამართებს „გავდივართ“.

იმ მისამართზე, სადაც აღმოჩნდება, რომ პრაქტიკულად დღეს არის ჰაერი და სტატუსიდან გამომდინარე, შეზღუდვები ცარიელ ადგილზეა დაწესებული, ჩვენ მთავრობაში შევალთ წინადადებით, რომ ასეთ მისამართებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნას.

ყველა სხვა შემთხვევაში, სადაც შეიძლება კონკრეტული ნაგებობის, შენობის აღდგენა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არ იქნება მოხსნილი და ამ ობიექტების აღდგენაზე მაქსიმალური ძალისხმევა იქნება მიმართული.

ყველას კარგად გვესმის, რომ ეს არ არის მხოლოდ კულტურის სამინისტროს ექსკლუზიური პრეროგატივა. ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობის იმედი გვაქვს, — განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# დონალდ რამსფელდი: „საქართველო ამერიკის მოკავშირეა, რომელიც გვჭირდება და მას უნდა მივესალმოთ“

## „საქართველო უნიკალურია იმ ახალ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდნენ“

გავლენიანი ამერიკული გამოცემა უოლ სტრიტ ჯორნელი ასევე გავლენიანი ამერიკელი პოლიტიკოსისა და სამხედრო მოღვაწის დონალდ რამსფელდის ვრცელ სტატიას აქვეყნებს, სადაც საქართველოში შეერთებული შტატების ინტერესებზეა საუბარი.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის ქართულენოვან ვერსიას მცირეოდენი შემოკლებით.

* * *

საქართველომ კვლავ მოახდინა დასავლური ფასეულობებისადმი ერთგულების მტკიცე დემონსტრირება: გასულ თვეში ქართველებმა, უკვე მეორედ ოთხი წლის განმავლობაში საარჩევნო ურნებთან ხმის მიცემის დროს ნამდვილი დემოკრატიის, პლურალისტური საზოგადოებისა და ტრანსატლანტიკური ფასეულობებისადმი ერთგულება გამოხატეს.

8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით განმეორდა და კიდევ უფრო გაღრმავდა ოთხი წლის წინ, 2012 წელს ჩატარებული არჩევნების დადებითი შედეგები

საქართველო, შეიძლება ითქვას, თითქმის უნიკალურია იმ ახალ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდნენ.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მთავარმა პარტიებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას და განაცხადეს, რომ ისინი აქტიურად უჭერენ მხარს ევროპასა და ნატოსთან ინტეგრაციას, აგრეთვე ურთიერთობის გაღრმავება-განმტკიცებას სტრატეგიულ პარტნიორთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჯერ ჩემთან საუბრისას, შემდეგ კი საჯაროდაც განაცხადა, რომ ეს პროცესი შეუქცევადია. ეს არის ის განწყობა, რომლითაც გამსჭვალულია მთელი ქართველი საზოგადოება და მას დიდი რეზონანსი აქვს.

რის გაკეთება შეუძლია ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოსთვის ასეთი მტკიცე მხარდაჭერისა და და სწრაფვის საპასუხოდ?

მომავალმა ადმინისტრაციამ ყურადღება რამდენიმე ვარიანტს უნდა დაუთმოს, რომლებიც არ ითხოვენ მნიშვნელოვან ხარჯებს, მაგრამ, იმავდროულად, სავსებით შეესაბამებიან და ავითარებენ აშშ-ის ინტერესებს.

პირველ რიგში, უნდა მოიხსნას ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოს ნატოში გაწევრიანებას: საქართველომ მაპი ყოველგვარი დამატებითი დაყოვნების გარეშე უნდა მიიღოს.

ქართველებს თავიანთი საწევრო შესატანი ნატოში უკვე გადახდილი აქვთ: თბილისმა ნებაყოფლობით გაგზავნა თავისი მეომრები ჯერ ერაყში, შემდეგ კი – ავღანეთში, რომლებიც ამჟამად ამერიკელებისა და ნატოს სხვა ქვეყნების ჯარისკაცებთან მხარდამხარ იბრძვიან. თუ გადაითვლით და ერთმანეთს შეადარებთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას და ავღანეთში გაგზავნილ ქართველ ჯარისკაცთა რიცხვს, დაინახავთ, რომ საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი უფრო მეტია, ვიდრე ნატოს სხვა სახელმწიფოებისა (აშშ-ის გარდა).

ამ სხვა სახელმწიფოებში იგულისხმებიან ის ევროპული ქვეყნები, რომლებიც გულგრილად არიან განწყობილნი საქართველოს ნატოში მიღების მიმართ. გერმანიამ, რომლის მოსახლეობა 81 მილიონს აღწევს, ავღანეთში მიმდინარე ნატოს სამშვიდობო ოპერაციაში 55 ჯარისკაცი დაკარგა, 4,9 მილიონიანმა საქართველომ კი – 32 მამაცი მეომარი. განსხვავება აშკარაა.



ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ამასწინათ მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი ყოფნა საქართველოში – გაიხსნა სწავლებ-შეფასების ერთობლივი ცენტრი, თუმცა ნატომ უფრო უკეთ უნდა ისარგებლოს საქართველოს უნიკალური პერსპექტივებით ამ რთულ რეგიონში.

საქართველოს რუსეთის აგრესიული მოქმედების მწარე გამოცდილება აქვს. საქართველო ესაზღვრება მშფოთვარე თურქეთს, თბილისი ავითარებს კავშირებს ირანთანაც. ამ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის გაღრმავების რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს – სადაზვერვო მონაცემების პერსპექტიული გაზიარებისა და კონტრდაზვერვითი ოპერაციების ჩათვლით.

* * *

რუსეთი აცხადებს, რომ საქართველოს სწრაფვა ნატოში გაწევრიანებისთვის მოსკოვის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციას წარმოადგენს. რუსეთის უარყოფითმა რეაქციამ ნატოს ზოგიერთი წევრი დაარწმუნა იმაში, რომ საქართველოს ნატოში მიღების საკითხი უნდა გადადებულიყო. ამასთან, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინა სამიტებზე არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დასავლეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში და მას ნატოში სრულფასოვანი გაწევრიანების იმედი უნდა ჰქონდეს. ახლა მოქმედების დრო დადგა. დასავლეთის უსაფრთხოების ინტერესები უკმაყოფილო რუსეთის მძევალი არ უნდა გახდეს.

რუსეთი არმია კვლავ აგრძელებს საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპირებას, რომელიც მოსკოვმა ხელში 2008 წელს განხორციელებული სამხედრო თავდასხმის შედეგად ჩაიგდო. რუსეთის განვითარების იმპერიული კონცეფცია, რომელიც უკრაინის კუთვნილ ყირიმსაც მოიცავს, დასავლური ფასეულობებისა და უსაფრთხოებისადმი შეუთავსებელია.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის) დაბრუნებისკენ მიმართული დისკუსიები მაინცდამაინც შედეგიანი არაა, მხოლოდ მცირე პროგრესი შეიმჩნევა. ამასობაში კი რუსეთის ჯარები ნელნელა, ჩუმ-ჩუმად სწევენ ე.წ. საზღვარს საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოლაპარაკებებზე თავისი ავტორიტეტი უნდა გამოიყენოს, რათა ზემოთ აღნიშნული საკითხები გადაიჭრას და მზად უნდა იყოს ისეთი ზომების მისაღებად, რომლებიც რუსეთისთვის ზარალის მომტანი იქნება საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის გამო.

დროა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს მნიშვნელობა აღიაროს და თბილისი რეგიონის სტრატეგიის დაგეგმვის აქტიურ მონაწილედ აქციოს. საქართველოზე ხომ ენერგორესურსების ტრანსპორტირების ძირითადი მარშრუტი გადის, რომლის მეშვეობით კასპიის ნავთობი და გაზი აშშ-ის ევროპელ მოკავშირეებს მიეწოდება. საქართველო ბარიერის როლს ასრულებს ახლოაღმოსავლელი ჯიჰადისტების ნაკადის წინააღმდეგაც. გარდა ამისა, საქართველო, უეჭველია, მნიშვნელოვანი ფიგურაა ნატოს სტრატეგიაში, რომელიც შავ ზღვაზე უსაფრთხოების განმტკიცებას და რუსული ავანტიურიზმისადმი „ახალი ევროპის“ წინააღმდეგობას გულისხმობს.

იმავდროულად ამერიკის შეერთებული შტატებმა აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი „აღმოსავლეთ-დასავლეთის“ ახალი სატრანსპორტო დერეფნების განვითარებას, რომლებშიც საქართველო და საერთოდ, კავკასია ცენტრალურ როლს ასრულებს.

შავიზღვისპირა ქართული ნავსადგურები მიიღებენ და გაგზავნიან ტვირთებს აზიიდან ევროპისკენ და ევრაზიის კონტინენტის ყველა ნაწილს ერთმანეთთან დააკავშირებენ. ამჟამად ამერიკული კომპანია ანაკლიაში ისეთ ღრმა ნავსადგურს აშენებს, რომელიც ყველაზე დიდი ტონაჟის მქონე სატვირთო გემების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია – ის იმ საყრდენისა და ხიდის როლს ასრულებს, რომელიც ევროპისა და აზიის ეკონომიკურ სისტემებს ერთმანეთთან აკავშირებთ.

ყველა ამ მიზეზის გამო შეერთებულმა შტატებმა უნდა იმოქმედოს და საქართველოსთან თავისი ვალდებულება გააღრმავოს არა საქველმოქმედო აქტის სახით, არამედ აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესების საფრთხისაგან დაცვის მიზნით.

ქართველებმა აჩვენეს, რომ მათ სახელმწიფოს ნორმალური მართვა, დემოკრატიის განვითარება და დასავლური ფასეულობებისადმი ერთგულება შეუძლიათ, ურთულესი პრობლემების არსებობისა და ერთმანეთთან უთანხმოების პირობებშიც კი.

საქართველო ჩვენი მოკავშირეა, რომელიც გვჭირდება და მას უნდა მივესალმოთ.

* * *

დონალდ რამსფელდი აშშ-ის თავდაცვის მინისტრი იყო 1975-77 წლებში (ჯერალდ ფორდის პრეზიდენტობის დროს) და 2001-2006 წლებში (ჯორჯ ბუში-უმცროსის ადმინისტრაციაში).

იგი ავტორია წიგნებისა „მემუარები: ცნობილი და უცნობი“ და „რამსფელდის წესები“.

ამჟამად ექსმინისტრი თავისივე სახელობის ორგანიზაცია „რამსფელდის ფონდს“ ხელმძღვანელობს.

# რა მოთხოვნას არღვევს ზურაბ ალავიძე

## რეგიონული განვითარების მინისტრობის კანდიდატის ინტერესთა კონფლიქტი



საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კვირიკაშვილმა 2016 წლის 22 ნოემბერს მთავრობის ახალი შემადგენლობა დაასახელა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობაზე ზურაბ ალავიძე წარადგინა, რომელიც ამჟამად მთავრობის ადმინისტრაციაში სტრატეგიული პროექტების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსია.

ზურაბ ალავიძე საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის მოთხოვნას არღვევს, ვინაიდან საჯარო თანამდებობის პარალელურად კერძო სამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორის პოზიციასაც იკავებს.

ზურაბ ალავიძე 2009-2010 წლებში საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. 2011-2016 წლებში იგი სააქციო საზოგადოება „დარიალი ენერჯის“ დირექტორი იყო, მიმდინარე წელს კი მთავრობის ადმინისტრაციაში სტრატეგიული პროექტების კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, თანამდებობის პირის ქონებრივ დეკლარაციაში აუცილებლად უნდა მიეთითოს ინფორმაცია მისი და ოჯახის წევრების სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ.

ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე პირის ვინაობა, საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება, მონაწილეობის ფორმა, საწარმოს მარეგისტრირებელი ორგანო და რეგისტრაციის თარიღი, საწარმოს იურიდიული მისამართი, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის დროის მონაკვეთი და საანგარიშო პერიოდში სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი (მე-15 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი).

საჯარო სამსახურის ბიუროში 2016 წლის 1 სექტემბერს წარდგენილი ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ზურაბ ალავიძე სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს.

კერძოდ, იგი დღემდე არის შპს „ქარავან თბილისის“ პარტნიორი და ფლობს კაპიტალის 20%-ს, თუმცა აქედან რაიმე შემოსავალი არ მიუღია; საწარმოს საქმიანობის სფეროში შედის სხვადასხვა სახის პროდუქტებისა და სასმელების წარმოება-რეალიზაცია.

მასვე 2016 წლის 4 ივლისამდე ეკავა სააქციო საზოგადოება „დარიალი ენერჯის“ დირექტორის პოზიცია, სადაც მისმა წლიურმა შემოსავალმა 197.414 ლარი შეადგინა.

* * *

საინფორმაციო ცენტრების ქსელმა გამოარკვია, რომ, გარდა ქონებრივ დეკლარაციაში მითითებული საწარმოებისა, ზურაბ ალავიძე კიდევ ერთი სამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებელი პარტნიორი და ხელმძღვანელია – 2014 წლის 5 თებერვალს მან დააფუძნა შპს „არიალი თრეიდინგ“, სადაც იგი დღემდე არის კაპიტალის 100%-ის მესაკუთრე და დირექტორის თანამდებობაც უკავია. საწარმოს იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ბესიკის ქ. 4, საიდენტიფიკაციო კოდი – 404464539.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს იმპერატიული ხასიათის აკრძალვას – თანამდებობის პირს უფლება არ აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში.

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობის წევრს უფლება არ აქვს, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას (81.2 მუხლის მე-4 პუნქტი). ამ მოთხოვნის დარღვევა კი შესაძლოა გახდეს მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების ან იმპიჩმენტის წესით მისი გადაყენების საფუძველი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ზურაბ ალავიძემ მინისტრად დანიშვნის შემდეგ სახელმწიფო სამსახურის ინტერესებთან შეუთავსებელი საქმიანობა არაუგვიანეს 10 დღის ვადაში უნდა შეწყვიტოს, ხოლო მომავალში შესაბამისი ინფორმაცია ასახოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# გენშტაბის უფროსის მოადგილეებად ნიკოლოზ ჯანჯღავა, ზაზა ჩხაიძე და შალვა ჯაბახიძე დაინიშნენ



საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ თავისი მოადგილეები წარადგინა.

გენშტაბის უფროსის პირველი მოადგილე იქნება პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა, მოადგილეები – ზაზა ჩხაიძე და შალვა ჯაბახიძე.

– მინდა წარმოგიდგინოთ ახალი გუნდი ახალი ხედვებით. წარმოგიდგენთ ჩემს მოადგილეებს, რომლებთან ერთადაც მე განვახორციელებ იმ რეფორმებს, რომლებიც დაგეგმილი გვაქვს. ჩემი პირველი მოადგილე იქნება პოლკოვნიკი ნიკა ჯანჯღავა, რომელსაც აქვს ამერიკული განათლება და ჯარში მუშაობის დიდი გამოცდილება. მისი მოვალეობა იქნება ორმხრივი თანამშრომლობის კუთხით პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავება. ასევე ის პასუხისმგებელი იქნება ნატოს საქართველოს პაკეტის იმპლემენტაციაზე და ჩართული იქნება საქართველოს მზადყოფნის პროგრამაში. მას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა სწავლებასა და საერთაშორისო ღონისძიებაში.

ჩემი მოადგილე იქნება პოლკოვნიკი ზაზა ჩხაიძე. მასაც ამერიკული განათლება და დიდი ხნის ჯარში მუშაობის გამოცდილება აქვს. გამოირჩევა დისციპლინით, არის პასუხისმგებლობის მქონე და პროფესიონალი. ის პასუხისმგებელი იქნება შტაბის ელემენტზე. ის იქნება როგორც მოადგილე, ასევე, არაოფიციალური ტერმინით რომ ვთქვა – შტაბის დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ყველა დეპარტამენტზე.

ჩემი მოადგილე იქნება ასევე პოლკოვნიკი შალვა ჯაბახიძე. მას განათლება მიღებული აქვს აშშ-ში, ასევე ბალტიისპირეთში. არის დიდი პროფესიონალი. მას ასევე დიდი გამოცდილება აქვს. მე და შალვა ჯაბახაძე გადავინაწილებთ დანარჩენ პასუხისმგებლობებს, – განაცხადა წარდგენისას გენერალმა ჩაჩიბაიამ.

გენშტაბის უფროსის თანამდებობაზე ვლადიმერ ჩაჩიბაიამ ვახტანგ კაპანაძე შეცვალა.

**20/30 ნიუსი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დემურ გიორხელიძე: „ვის რაში სჭირდება ეკონომიკა, როცა შეიძლება, ჰაერიდან ფული აკეთო?!“

**ნონა ცაბაძე**



ქვეყანაში განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში **დემურ გიორხელიძე** აფასებს.

***– ბატონო დემურ, ახალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია. ასევე ცნობილია ეკონომიკური გუნდი. როგორია თქვენი შეფასებები?***

– უნდა დაველოდოთ მთავრობის გაცხადებულ პოლიტიკას და შემდეგ ერთი კვარტალი მაინც ვნახოთ, რა გაკეთდება. პიროვნება ყველა კარგია, მაგრამ, რა გამოვა საერთო საქმიანობით, შედეგების მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ. მე არ ვფიქრობ, რომ დღეს რაიმე შეფასებების დრო იყოს. დაველოდოთ, ვნახოთ, რა გამოვა. ჩემთვის სულ ერთია, ვინ სად იქნება, მთავარია, შედეგი დაიდოს.

***– ახალ სახეებზე რას იტყვით?***

– მე ვერ ვხედავ პიროვნებებში რაიმე პრობლემას. აქ ჩვენ გვაქვს საუბარი იმაზე, რომ საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაშია. სტანდარტული გზებით მისი ამ ჭაობიდან გამოყვანა ვერ მოხერხდება და არც ხერხდება.

***– როგორ უნდა დაიდოს ეს შედეგი?***

– აჯობებს, ჯერ მოვისმინოთ, რას აპირებს მთავრობა, შემდეგ შეგვიძლია შევაფასოთ, ეს გაცხადებული პოლიტიკა რამდენად შეესაბამება დღევანდელობას.

***– თავად თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს ამ მძიმე სიტუაციიდან? ვხედავთ, ლარი როგორ უფასურდება.***

– ის, ვინც ფიქრობს, რომ ლარის რყევა რაღაც საბაზრო მექანიზმებმა განაპირობა და ეს დანაშაულებრივი პოლიტიკა ე.წ. ბაზრის უხილავი ხელის ზემოქმედებაა, ის, უბრალოდ, გვაბრიყვებს! ამიტომ, თუ მთავრობას სურს, რაიმე წარმატებას მიაღწიოს ამ კუთხით, მაშინ ეროვნული ბანკიც და მთავრობაც ერთიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში უნდა მოქმედებდნენ.

ეს პოლიტიკა ჯერჯერობით გაცხადებული არ არის.

***– რამდენად მძიმე ზამთარი გველოდება?***

– არა მგონია, ზამთარი რითიმე ოდნავ მაინც მძიმე იყოს წინა წლებთან შედარებით. სიტუაცია უკვე ორ ათეულზე მეტი წელია მძიმეა საქართველოში და ქართველები მიეჩვივნენ ამ სიტუაციაში ცხოვრებას. ახალი და განსაკუთრებული არაფერი იქნება.

***– კეთდება შეფასებები, რომ კუპონიზაციისკენ მივდივართ. თქვენ რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

– არა მგონია. იმ ადამიანთა ჯგუფმა, რომელიც უაზროდ ათამაშებს ლარს, ვერ გაბედა 2,5-ზე გადაბიჯება, თუმცა ამის მცდელობა იყო და იყო დიდი ცდუნებაც, იმიტომ, რომ ჰაერიდან იშოვება ფული. იცით, რატომ არ ვითარდება საქართველოში ეკონომიკა?!

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ხელისუფლებამ საქართველოში დაუშვა უმთავრესი სახელმწიფო ინსტიტუტების, კერძო, ვიწრო, ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფების ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება და ჩვენ მივიღეთ ფულის თამაში! არაფრისგან ფულის კეთება! ვის რაში სჭირდება ეკონომიკა, როცა შეიძლება, ჰაერიდან ფული აკეთო?!

***– ანუ ლარის გაუფასურება კურსის თამაში ხელოვნური პროცესია?***

– თავიდან ბოლომდე! საქართველოში ვერ შეძლებს ვერავინ, რომ ლარის ასეთი თამაში რაიმე გონივრული მოსაზრებებით ახსნას. ეს არის გამიზნული პოლიტიკა და კარგი იქნება, თუ ამას ბოლო მოეღება. ეკონომიკის რაიმე წინსვლაზე საუბარი, როცა ეროვნული ვალუტა უაზროდ დახტის აღმა-დაღმა, უბრალოდ, შეუძლებელია.

***– თქვენ აცხადებთ, რომ ამით კონკრეტული ადამიანები ფულს შოულობენ. გამოდის, რომ ამაში ჩართულია ის, ვისაც ბერკეტები ხელთ უპყრია, რიგით ადამიანს ხომ არ შეუძლია ვალუტის თამაში და ამით დიდი ფულის კეთება?***

– რიგით ადამიანებს შეუძლიათ, საკუთარი განწყობები გამოხატონ არჩევნებზე. სამწუხაროდ, ჩვენი ხალხი ვერ მიეჩვია შედეგების მიხედვით არჩევანის გაკეთებას. ამიტომ დღეს, ამ უამრავ პრობლემას შორის, რომლებიც ქვეყანაშია, ერთადერთი, რაც ჩვენ გვინდა, არის ის, რომ ახალი მთავრობა იყოს წარმატებული. ამაზე კარგი არაფერი იქნება. თუ როგორ და რას გააკეთებენ, ეს მთლიანად მათზეა დამოკიდებული და შედეგებიც შესაბამისად იქნება შეფასებული.

***– თუ იქნება კეთილი ნება, რომ დამთავრდეს ვალუტით თამაში, ეს საკითხი დაიხურება და ლარი დასტაბილურდება?***

– ვალუტით თამაში არის ერთ-ერთი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა, რომ შეჩერდეს ეს უაზრო თამაში. როდესაც ეს შეჩერდება, მერე უკვე სხვა რამეზეც შეიძლება საუბარი.

***– ანუ ეროვნული ვალუტის ბედი ვიღაცის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული?***

– როგორც წესი, ქვეყანაში ყველაფერი დამოკიდებულია, პირველ რიგში, პოლიტიკურ ნებაზე, შემდეგ უკვე არსებობს ობიექტური ფაქტორები, რომელთა გააზრების შემდეგ საკმაოდ კარგად შეიძლება ნეგატიური მოლოდინების თავიდან აცილება.

***– ინვესტიციების კლებას რას უკავშირებთ? პოლიტიკურად არასტაბილური სიტუაციაა?***

– ამჟამად საქართველო პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყანა ნამდვილად არ არის. საქმე ის არის, რომ სამეწარმეო გარემო არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომ სერიოზულმა ინვესტორებმა თანხები შემოიტანონ. სერიოზულმა ინვესტორმა უნდა გათვალოს, ორი-სამი მთავრობის შემდეგ რა არის მოსალოდნელი. ჩვენ ოთხი წლითაც ვერაფერს გავთვლით, რადგან საქართველო არის არა რისკების, არამედ განუსაზღვრელობის ქვეყანა. განუსაზღვრელობა კი უფრო რთული რამეა, ვიდრე რისკი.

***– ანუ ამ ეტაპისთვის სახარბიელო პროგნოზი არ გაქვთ?***

– ყველაფერი დამოკიდებულია მთავრობის პოლიტიკაზე. მე ოპტიმისტი ვარ, მინდა, წარმატება ვუსურვო მათ. გააკეთებენ, გააკეთებენ, ვერ გააკეთებენ და საკუთარ თავს დააბრალონ.

## თბილისში სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა 1 ლარი გახდება

### მძღოლები მგზავრობის ტარიფის გაძვირებაზე უკვე გააფრთხილეს



თბილისში, შესაძლოა, ყვითელი მიკროავტობუსებით მგზავრობა გაძვირდეს.

როგორც „კომერსანტს“ რამდენიმე მძღოლმა განუცხადა, 23 ნოემბერს „თბილისის მიკროავტობუსის“ ოფისში მისულებს უთხრეს, რომ მგზავრობის ღირებულება 20 თეთრით გაძვირდება და 1 ლარი გახდება.

– ოფისში მისვლა გეგმის შესატანად ყოველდღე გვიწევს. გუშინ შევიკრიბეთ და გეგმის შემცირება მოვითხოვეთ, თუმცა ადმინისტრაციისგან უარი მივიღეთ. მათი თქმით, გეგმის შემცირება კი არა, უახლოეს მომავალში 80-თეთრიანი ტარიფი 1 ლარი გახდება. არ ვიცით, რა ვქნათ, ჩვენ ყველაზე ნაკლებად გვაწყობს გაძვირება, რადგან კლიენტს დავკარგავთ, – აცხადებენ მიკროავტობუსის მძღოლები.

„კომერსანტისთვის“ კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით ცნობილი ხდება, რომ ტარიფის ზრდას კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ მერიაშიც ითხოვს. მიუხედავად ამისა, თბილისის მერიაშიც და კომპანიაშიც მგზავრობის ტარიფის შესაძლო გაძვირებას უარყოფენ.

„თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელი დავით ასანიძე ამბობს, რომ მათთან ოფისში არავინ მისულა და არც მგზავრობის ღირებულების გაზრდაა დღის წესრიგში.

– ეს ყველაფერი ჭორია, – აცხადებს ასანიძე.

„კომერსანტი“ თბილისის მერიასაც დაუკავშირდა კითხვით, განიხილება თუ არა სამარშრუტო ტაქსებზე მგზავრობის ღირებულების ზრდა.

თბილისის მუნიციპალიტეტში ამბობენ, რომ ტარიფის ზრდის საკითხი არ განიხილება.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

## ტექსტილის ასოციაციამ და თავდაცვის სამინისტრომ ჯარის შემოსვაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს



ტექსტილისა და ფეხსაცმლის მწარმოებელთა ასოციაციამ თავდაცვის სამინისტროსთან ქართული ჯარის შემოსვის შესახებ შეთანხმებას ვერ მიაღწია.

ასოციაციის ხელმძღვანელის განცხადებით, თავდაცვის სამინისტრომ გასულ წელს 40 მილიონის ქართული ხორცი შეისყიდა და ფული ეკონომიკაში დატოვა, შემდეგ იყო დაპირება, რომ ქართული ჯარის ადგილობრივი წარმოების ტანსაცმლით მომარაგება მოხდებოდა.

დავით ბიძინაშვილი რადიო „კომერსანტთან“ ამბობს, რომ ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ ცადეს თავდაცვის სამინისტროში შეხვედრა, თუმცა, საბოლოო ჯამში, შეთანხმება ვერ მოხდა.

მისივე თქმით, ქართული კომპანიები ტენდერებში უპირატესობის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებასაც ელოდებიან, თუმცა ჯერჯერობით არც ეს საკითხი მივიდა ბოლომდე.

– 10-15%-იანი უპირატესობა საგულისხმოა ქართული კომპანიებისთვის. შესყიდვების სააგენტო დაგვპირდა, გვითხრეს, რომ ეს საკითხი მათთვისაც მნიშვნელოვანია, თუმცა ველოდებით, რა იქნება, – აცხადებს ბიძინაშვილი.

მისივე თქმით, დიდი წარმოებები დამოკიდებული არიან ტენდერებზე, რათა არ გაჩერდნენ და დასაქმებულები შეინარჩუნონ.

დავით ბიძინაშვილი ამბობს, რომ დღეს კომპანიები ტენდერებში კონკურენციას მაინც ახერხებენ, თუმცა ეს ხდება მინიმალური მარჟების გათვალისწინებით, რაც, საბოლოო ჯამში, მოგებაზეც აისახება.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

## მინერალური წყლების მსხვილ მწარმოებლებს „ფლატეც“ ადანაშაულებს



სავაჭრო ქსელებისა და მინერალური წყლების მსხვილი მწარმოებლების არაკეთილსინდისიერ ქმედებებზე კიდევ ერთი მცირე მწარმოებელი საუბრობს. მინერალურ წყალ „ფლატეს“ დამფუძნებელ მერაბ კუბლაშვილის განცხადებით, თბილისში სავაჭრო ქსელების მენეჯერების 95 პროცენტი ამბობს, რომ ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული მსხვილ მწარმოებელ კომპანიებთან, რის ფარგლებშიც იზღუდება სხვა წყლის, მათ შორის, „ფლატეს“ შემოტანა.

აღნიშნულ პრობლემაზე „კომერსანტი“ უკვე წერდა.

ჩვენთან საუბრისას მინერალური და მტკნარი წყლების ჩამოსასხმელი საწარმო შპს „კოკატაურის“ ხელმძღვანელმა „ნაბეღლავსა“ და „ბორჯომს“ სკანდალური ბრალდება წაუყენა. ვლადიმერ შერვაშიძემ განაცხადა, რომ საწარმომ, შესაძლოა, წარმოება შეაჩეროს.

მისი თქმით, ფინანსური პრობლემების მიზეზი სავაჭრო ქსელებისა და კონკურენტი კომპანიების „ბორჯომისა“ და „წყალი მარგებელის“ (ნაბეღლავი) არაკეთილსინდისიერი მოქმედებებია.

– ეს კომპანიები სავაჭრო ქსელებსა და მარკეტებს ფულს უხდიან იმაში, რომ მათ ქსელში სხვა წყალი არ შევიდეს. მე რომ წყალს შევიტან, დახლის ქვეშ არის დამალული. ასე ხდება აჭარაშიც და სრულიად საქართველოში. ეს კომპანიები ფინანსურად ძლიერები არიან. მე მაგათ ვერ მოვუგებ, – აცხადებს შერვაშიძე.

„კოკატაურის“ ბრალდებები „წყალი მარგებელში“ კატეგორიულად უარყვეს. რაც შეეხება კომპანია „ბორჯომს“, კომპანიაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გააკეთეს.

* * *

„კოკატაურის“ მსგავსად, პრობლემები აქვს ქართულ მინერალურ წყალ „ფლატესაც“. კომპანიის დამფუძნებელ მერაბ კუბლაშვილის განცხადებით, „ფლატე“ მუშაობს, თუმცა, მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმე შეკვეთა აქვს.

კუბლაშვილის მტკიცებით, სერიული წარმოება იმის გამო არ ხდება, რომ კომპანიას ადგილობრივ ბაზარზე გასაღების პრობლემა აქვს.

– ჩვენ სხვა კონკურენტ კომპანიას კონკურენციას ხარისხითა და ფასით ვუწევთ, თუმცა მაინც ძალიან დაჩაგრულები ვართ. არასოდეს გვითმობენ მარკეტებში ადგილს. სავაჭრო ცენტრის დახლებზე ორი და სამი რიგი ჩვენი პროდუქცია დევს, ჩვენს კონკურენტ კომპანიებს კი ბევრად დიდი ადგილი (50 რიგზე მეტი) უჭირავთ.

არ ვიცი, რა ხდება. შეიძლება, მაღაზიის მეპატრონეები იტყუებიან, თუმცა ფაქტია, რომ პრობლემა არსებობს. მაგალითად, თბილისში სავაჭრო ქსელების მენეჯერების 95 პროცენტი ამბობს, რომ ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული მწარმოებელ კომპანიებთან, რის ფარგლებშიც იზღუდება სხვა წყლის, მათ შორის „ფლატეს“ შემოტანა. ეს საშინელებაა, – აცხადებს კუბლაშვილი.

მისივე ინფორმაციით, ქვეყანაში არ მუშაობს კონკურენციის სააგენტო და აღნიშნული პრობლემებიც აქედან გამომდინარეობს.

როგორც კუბლაშვილი ამბობს, არავის აქვს უფლება, ქართული პროდუქცია თავის ქსელში არ მიიღოს.

– საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილია დაახლოებით 4 მინერალური წყლის მწარმოებელი კომპანია. გასულ წელს ჩვენი პროდუქცია რამდენიმე ქსელში შევიტანეთ და მცირე ფასდაკლებით მცირე კუნძულებზე განვათავსეთ. გაყიდვები ორჯერ მეტი დაფიქსირდა. ერთი თვის შემდეგ მარკეტში განმიცხადეს, რომ ჩვენს პროდუქციას ველარ განათავსებდნენ. მიზეზად დაასახელეს ის, რომ პრობლემა შეექმნათ. რამდენიმემ ისიც მითხრა, რომ მსხვილმა კომპანიებმა უთხრეს, თუ „ფლატეს“ დადებდნენ დახლზე, ისინი თავიანთ პროდუქციას აღარ შეიტანდნენ. ეს თავისუფალ ვაჭრობას ზღუდავს, – აცხადებს კუბლაშვილი.

შპს „ქართული წყალი და კომპანია“ 2012 წელს დაფუძნდა. მასში დაახლოებით 3 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა. საწარმო სამცხე-ჯავახეთში, ადიგენის რაიონში მდებარეობს.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

## ლარი გამყარდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გამყარდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4852 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4978 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0126 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში გამყარდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.6259 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.6602 ლარს შეადგენდა.

შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0343 ლარი შეადგინა.

# გელა ნიკოლაიშვილი: „სტატისტიკურად 10-12 მკვლელობა ყოველთვიურად სისტემატურად ხდება“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ სიტუაციაზე, გახშირებულ მკვლელობებზე, სისასტიკესა და სატანისტური სექტების სიმრავლეზე, ასევე, ხელისუფლების დამოკიდებულებაზე ამ პროცესისადმი „ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი, უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.

***– ბატონო გელა, რატომ იმატა კრიმინალმა ქვეყანაში? რატომ არის ასეთი ხშირი მკვლელობები?***

– მართლაც ძალიან მძიმე შემთხვევები მოხდა ნოემბერში, დაახლოებით ოთხი თუ ხუთი შემთხვევა – დაჩეხა, დაჭრა და კანიბალიზმიც კი, ასევე სექტებთან დაკავშირებული ფაქტები. ბუნებრივია, ამან მძაფრი რეაქცია გამოიწვია. თუმცა საქართველოში თვეში დაახლოებით 4-5 მკვლელობა, როგორც წესი, ზოგჯერ 10-12-ც, არის საშუალო სტატისტიკური მონაცემი, სამწუხაროდ.

***– რის თქმა გსურთ, რომ მატება არ არის?***

– აქედან გამომდინარე, რაოდენობრივი თვალსაზრისით, ვერ ვიტყვით, რომ მოიმატა.

***– მაშინ, რატომ არის საზოგადოების მხრიდან ასეთი მძაფრი რეაქცია, იმიტომ, რომ განსხვავებული ტიპის მკვლელობებია?***

– რა თქმა უნდა. ამიტომაც არის ასეთი მძაფრი რეაქციები. არასდროს მომხდარა, რომ კანიბალიზმის შემთხვევა ყოფილიყო. არასდროს ყოფილა, რომ თავი მოეჭრათ, ადამიანი დაენაწევრებინათ. არასდროს მომხდარა, რომ შვილს მშობელი მოეკლა და მით უმეტეს ორი მშობელი და ასეთი ფორმით დაეჩეხა, როგორც ეს მოხდა.

***– ფსიქოლოგიურმა პრობლემებმა იმატა ერში თუ რისი გამოძახილია ყოველივე ეს?***

– ძალიან ძნელია ამის თქმა, ალკოჰოლური თუ ნარკოტიკული თრობის ქვეშ ხდება ეს თუ რაღაცა სექტასთან დაკავშირებით ვილაცის თუ ფსიქიკურად დაავადებულის მიერ. ფაქტია, ნორმალურს ვერ დაარქმევ ასეთ შემთხვევას, როცა შვილი მშობელს კლავს, ჩეხს და მით უმეტეს იქ მერე კანიბალიზმის ელემენტებს აქვს ადგილი. რაღაცა ანომალიასთან გვაქვს საქმე და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს რაოდენობრივად გახშირებული იყოს. რატომ ხდება, ძნელი სათქმელია.

სახელმწიფოს ვალია, აკონტროლონ პროცესი, რომ ამას არ მოჰყვეს მსგავსი ფაქტების გახშირება და ყველა დანაშაული მაქსიმალურად მოკლე ვადებში გაიხსნას.

ძალიან გავრცელებულია სააფთიაქო ნარკომანია, იყიდება ფსიქოტროპული ნივთიერებები, ეს ადამიანები ფსიქოტროპულ წამლებს იღებენ და პირდაპირი მნიშვნელობით გიჟდებიან. ასეთი ადამიანებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ამის კონტროლი ნამდვილად შეუძლია სახელმწიფოს და ამაზე ნამდვილად უნდა ვუსაყვედუროთ.

***– რომ არ ებრძვის სააფთიაქო ნარკომანიას?***

– დიახ. რასაც აკეთებს, იმასაც ფორმალურად აკეთებს. მხოლოდ დააჯარიმო ერთხელ, ორჯერ, მესამედ დაუხურო, მეოთხედ იმ ადამიანმა ახალი შპს გახსნას და ისევ გააგრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა, რა თქმა უნდა, აქ პირდაპირ სახელმწიფოსა და სამართალდამცავი ორგანოების დანაშაულია.

***– უფრო მკაცრი ღონისძიებები უნდა გატარდეს?***

– რასაკვირველია, პირველ რიგში კი – საკანონმდებლო დონეზე, რომელიც ამ შემთხვევაში მკაცრ რეგულაციებს არ აწესებს.

***– როდესაც საზოგადოება შეშფოთებით საუბრობს სექტების სიმრავლეზე, ვის ევალება ამ ყველაფერზე კონტროლი, არსებობს რაიმე რეგულაციები, შეზღუდვები?***

– არსებობს რელიგიური სექტები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ გაერთიანებისა და რწმენის თავისუფლება აძლევს არსებობის უფლებას. არავინ ამბობს ზეპირად და არც წერს იმას, რომ ადამიანის რიტუალური მკვლელობა უნდა ჩაატაროს, შავ მაგიას დაუკავშირდეს ან ადამიანის ხორცი ჭამოს. ამას არავინ იტყვის საჯაროდ.

თუ არსებობს ეჭვი, იქ სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა შეაგზავნონ თავიანთი აგენტები. სახელმწიფოს ევალება კანონის ფარგლებში



მათი გაკონტროლება. ეს თუ სექტებზეა ლაპარაკი, ხოლო თუ ოჯახში ხდება ან ქეიფის ან ნარკოტიკული თრობის დროს ხდება, ამის გაკონტროლება შეუძლებელია. ცალკეულ შემთხვევებს ვერ ავცდებით.

***– ანუ სტატისტიკური თვალსაზრისით არ თვლით, რომ სიტუაცია საგანგაშოა?***

– ასე ნამდვილად არ არის. სტატისტიკა სხვას გვეუბნება. სამწუხაროდ, წლებია, სტატისტიკურად 10-12 მკვლელობა ყოველთვიურად სისტემატურად ხდება.

# კიდევ ერთი არქიტექტორის ალბომი „მაგთიკომისგან“

მაგთი MAGTI

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ



***„მაგთიკომმა“ ცნობილი არქიტექტორის ვახტანგ დავითაიას ნამუშევართა ალბომი გამოსცა. ალბომის წარდგინება „მაგთიკლუბში“ უკვე ტრადიციად ქცეულ გარემოში – საზეიმო საღამოს შედგა. ერთად თავშეყრილი არქიტექტორის ახლობელთა ნაწილი სიამოვნებით განიხილავდა მის შემოქმედებასა და გამომცემლის ღვაწლს. ალბომის 450 გვერდი მაქსიმალურად სრულად ასახავს ოსტატის მრავალფეროვან ხელოვნებას. კატალოგში შესულია არქიტექტორის შემოქმედებითი ნაშრომების უმნიშვნელოვანესი ნაწილი.***

ალბათ, შემოქმედისთვის არ არსებობს უკეთესი საჩუქარი, ვიდრე მისი შემოქმედების ალბომია, პიროვნებისთვის კი დამატებითი შესაძლებლობა – ერთად მოუყაროს თავი თავის ახლობლებს, გაიხსენოს ძველი და გაუზიაროს მიმდინარე ამბები, ისაუბროს მომავალზე. ვახტანგ დავითაიას საღამოს ესწრებოდნენ ცნობილი არქიტექტორები, კომპოზიტორები, კინორეჟისორები, ოჯახის წევრები.

ვახტანგ დავითაია 200 სტატიისა და 250-მდე პროექტის ავტორია. მისი პირველი პერსონალური გამოფენა თბილისში 1984 წელს მოეწყო. ამ გამოფენამ შემდეგ მოიარა რიგა, კაუნასი, მინსკი, კიევი, ხარკოვი...

საერთოდ, მის სახელს მრავალი პერსონალური გამოფენა უკავშირდება. იგი არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიისა და ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო პროფესორია.

გეამაყება, როცა კითხულობ, რომ 1987 წელს კრებულ „არქიტექტურა და საზოგადოების“ ერთ-ერთ ნომერში, რომელიც მთლიანად ეძღვნება არქიტექტურული კონტექსტის პრობლემებს, ეს პრობლემები განხილულია 5 არქიტექტორის მაგალითზე: ბოგდან ბოგდანოვიჩი (იუგოსლავია), ვახტანგ დავითაია (საქართველო), იუსტუს დაჰინდენი (შვეიცარია), რიჩარდ ინგლანდი (მალტა), იმრე მაკოვეცი (უნგრეთი).

1990 წელს მოსკოვში გამოვიდა ცნობილი მკვლევრის ალექსანდრე რიაბუშინის მონოგრაფია: „არქიტექტურული შემოქმედების ახალი ჰორიზონტები. 1970-1980 წლები“, სადაც განხილულია 6 საბჭოთა და 6 უცხოელი არქიტექტორის შემოქმედება. საბჭოთა ექვსეულის ყველაზე ახალგაზრდა წარმომადგენელი გახლდათ ვახტანგ დავითაია...

ეს მისი შემოქმედების შეფასებისთვის. მისი პიროვნების შეფასებისთვის კი მისსავე ნათქვამს მოვიხმართ: „... არასდროს მქონია პრაქტიკულად მიუწვდომელი ოცნება, ეს აუცილებელია ბედნიერებისათვის. ვთვლი, რომ ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. ბედნიერება ისეთივე ნიჭია, როგორც ღვთის მიერ ბოძებული სხვა ნიჭი: მუსიკოსის, მხატვრის, მეცნიერის... ის არ არის პირდაპირი შედეგი არც პროფესიული წარმატების არც ეკონომიური კეთილდღეობის. ეს ნიჭი ან გაქვს ან არა. თუმცა შეიძლება მისი აღზრდა-შეძენა. ამ ნიჭს ჰქვია „ბედნიერად ყოფნის ნიჭი“. თუ უფრო მატერიალისტურად შევხედავთ – თანხმობა ოჯახში, ქვეყანაში, მთელს სამყაროში... ოქროს თევზი რომ ამოჰყვეს ბადეს, მხოლოდ ერთი თხოვნა მექნება: კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოზე გამოსახული დედამიწა – უსაზღვრო, ერთიანი, მშვიდი, უკონფლიქტო – გახადოს რეალობად...“

ვახტანგ დავითაიას ალბომის გამოცემა მიულოცეს და მასზე ისაუბრეს მისმა სტუმრებმა.

**კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი:** „პირველ რიგში, მახარებს ის ფაქტი, რომ ამ კლუბში, ასეთი ტიპის ღონისძიებაზე პირველად არ ვარ. ის, რაც კარგი და ქართველი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია – ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების სიახლეები არაერთხელ მაგთიკომის მეშვეობით მოვისმინეთ. სულ ერთია, ეს ფერმწერს, მოქანდაკესა თუ კინემატოგრაფისტს ეხება, მადლობა მაგთის, რომ ქართულ ხელოვნებაზე ფიქრობს და ზრუნავს. მოხარული ვარ, რომ აქ მორიგ ასეთ ღონისძიებას ვესწრები და ვხედავ, რომ ვახტანგ დავითაიას მაგთიმ ძალიან მნიშვნელოვანი წიგნი/ალბომი გამოსცა.

რაც შეეხება უშუალოდ ბატონ ვახტანგს, იშვიათია ხელოვანი, რომელსაც ბუნებასთან, გარემოსთან და ადამიანთან ასეთი ჰარმონიული ურთიერთობა აქვს, ხოლო ეს ყველაფერი არქიტექტურაში გადადის. თითქმის ყველა მისი არქიტექტურული ძეგლი თუ მემორიალი ნამდვილი საოცრებაა. ალბათ, ეს ყველაფერი ქართული ბუნებიდან მოდის – მას არ შეუძლია, შექმნას რაიმე, რაც ბუნებასთან, ადამიანთან საოცრად არ გახლავთ შერწყმული. მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი მის მიერ დაწერილ სტატიებშიც თანაბრად გადადის. ვულოცავ მას ამ მშვენიერ დღეს და ვუსურვებ დღეგრძელობას.“

**კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი:** „მნიშვნელოვანია, რომ ეს ხელოვანი მხატვრებს ძალიან კურირებს და ეს ძალიან დასაფასებელია. უდიდესი არქიტექტორი რომაა, ამაზე არავინ დავობს. სწორედ მისი მსგავსი არქიტექტორები უნდა ჩავრთოთ თბილისის განვითარებაში. დიდი მადლობა მინდა გადაუხადო ბატონ გია ჯოხთაბერიძეს იმისთვის, რომ ასე გვიდგას ხელოვანებს გვერდით, ხოლო ჩემს მეგობარს, უნიჭიერეს ვახტანგ დავითაიას მივულოცო ეს შესანიშნავი დღე.“

ღონისძიებაზე ისაუბრა სტუმრად მყოფმა **ქალაქის მერმა დავით ნარმანიამ:** „მინდა, ბატონ ვახტანგს მივულოცო დღევანდელი დღე და კომპანია „მაგთიკომს“ კი მადლობა ვუთხრა ამ სასიკეთო საქმისთვის. დიდი ხანია, რაც ბატონი ვახტანგი გვერდით უდგას ჩვენს ქვეყანასა და დედაქალაქს. მისი მრავალი სასიკეთო საქმე ყველასთვის თანაბრად მნიშვნელოვანია. მოხარული ვარ, რომ მაგთიკომის მიერ გამოცემული ალბომით ფართო საზოგადოება ბატონი ვახტანგის მდიდარ შემოქმედებასა და გამოცდილებას გაეცნობა, ვინაიდან გამოცემაში თავს იყრის ძალიან საინტერესო მასალა.“

თავის გამოსვლაში ვახტანგ დავითაიამ დიდი მადლობა გადაუხადა კომპანია მაგთიკომს თავისი შემოქმედებითი ალ-



ბომისთვის და იქვე განსაკუთრებულად აღნიშნა კომპანიის თანამშრომელთა ძალიან თბილი და გულითადი დამოკიდებულება, ასევე მათი პროფესიონალიზმი და დიდებულად შესრულებული სამუშაო:

„კომპანია მაგთიკომი მართლაც ამართლებს თავის დევიზს, როცა ამბობს, რომ ქართულ საქმეს აკეთებს. ამ ალბომით კომპანიამ ყველას ძალიან დიდი საქმე გაგვიკეთა და მიმაჩნია, რომ ეს მხოლოდ ჩემი კი არა, მთლიანად არქიტექტურის საჩუქარია.

ალბომი 450-გვერდიანია და მასში თავს იყრის თითქმის ყველა ჩემი ნაშრომი – ფერწერა, არქიტექტურა, გრაფიკა, პუბლიცისტიკა და ა.შ. სიტყვები არ მყოფნის მადლიერების გამოსახატად. დიდი მადლობა მაგთიკომს ამ შეუფასებელი საჩუქრისთვის, დიდი მადლობა მის ყველა თანამშრომელს, ვინც მონაწილეობდნენ ალბომის შექმნაში. მოხიბლული ვარ მათი გულითადი დამოკიდებულებით, პროფესიონალიზმითა და შრომისმოყვარეობით, დიდებულად შესრულებული პროექტით“, – განაცხადა ვახტანგ დავითაიამ.

აქვე დავძენთ, რომ მაგთიკომს გამოცემული აქვს არაერთი მხატვრის, მოქანდაკისა თუ არქიტექტორის ნამუშევართა ალბომი. მათ ავტორებს შორის არიან: ირაკლი ფარჯიანი, ედმონდ კალანდაძე, თემო ჯაფარიძე, რადიშ თორდია, მერაბ აბრამიშვილი, კოკი მახარაძე, დიმიტრი ერისთავი, თემო გოცაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, ელგუჯა ამაშუკელი, ოთარ ჩხარტიშვილი, ემირ ბურჯანაძე, ბიძინა ავალიშვილი, ლევან ცუცქირიძე, გოგი ჩაგელიშვილი, გიგა ბათიაშვილი, გივი ჯაფარიძე, ვაჟა ორბელაძე, მერაბ მერაბიშვილი, ლადო ქუთათელაძე...

„ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ – ამ დევიზით მაგთიკომმა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა ქართული მხატვრობის, მწერლობის, თეატრის, კინოსა და მუსიკის მხარდასაჭერად. ეს კომპანიის საქმიანობაში პრიორიტეტული მიმართულებაა.

ანა ვაჩეიშვილი

# ჰილარი კლინტონს ტრამპზე მეტი ხმა აქვს



აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების საბოლოო შედეგები შეაჯამეს.

ჰილარი კლინტონმა დონალდ ტრამპზე 2 მილიონით მეტი ხმა დააგროვა. მიუხედავად ამისა, ტრამპმა ამომრჩეველთა კოლეგიის 270 ხმა მოიპოვა და პრეზიდენტი გახდა. იანვარში მისი ინაუგურაციაც შედგება.

ასეთი რამ ამერიკის ისტორიაში პირველად მოხდა.

# თურქეთმა სირიელ ქურთებზე ზეწოლა გააძლიერა



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა სასტიკად გააკრიტიკა ევროკავშირი ქურთებისადმი მხარდაჭერის გამო.

– ქურთების მხარდაჭერა ტერორიზმის მხარდაჭერაა, – აცხადებს ერდოღანი.

პარალელურად ანკარის პროკურატურამ გასცა ორდერი ქურთისტანის დემოკრატიული კავშირის ლიდერ სალიჰის დასაპატიმრებლად.

ერდოღანმა აღნიშნა, რომ თურქეთის არმია გააძლიერებს დარტყმებს ქურთების პოზიციებზე სირიაში.

# გულნარა ქარიმოვა შინაპატიმრობაშია



გულნარა ქარიმოვას ვაჟმა და უზბეკეთის განსვენებული პრეზიდენტის ისლამ ქარიმოვის შვილიშვილმა (მას ბაბუის სახელი, ისლამი, ჰქვია) ბიბისის კორესპონდენტს ინტერვიუ მისცა.

ქარიმოვ-უმცროსმა განაცხადა, რომ დედამისი ცოცხალია, მაგრამ შინაპატიმრობაში იმყოფება.

მან ასევე აღნიშნა, რომ მისი დაც შინაპატიმრობაშია და ქვეყნიდან გამგზავრების უფლებას არ აძლევენ.

# ინგლისელ ულტრარადიკალს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს



სასამართლომ ინგლისელ ულტრარადიკალ მეირ ჯო კოქსის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

41 წლის კოქსი პარლამენტის დეპუტატი და ორი შვილის დედა იყო.

მეირმა სასამართლოზე ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა. ყველა შეკითხვაზე ის ლოზუნგებით პასუხობდა: „გაუმარჯოს ბრიტანეთს! სიკვდილი მოღალატეებს!“ და ა.შ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ევროპარლამენტმა ანტირუსული რეზოლუცია მიიღო



რუსეთის ძირგამომთხრელი პროპაგანდა ევროკავშირის ერთიანობას უკვე საფრთხეს უქმნის. თუ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ გერმანელი და ფრანგი დეპუტატები თავიანთი პოლონელი კოლეგების მოსაზრებას არ ეთანხმებოდნენ, ახლა ყველა ერთსულოვანია იმაში, რომ უმოქმედობა დაუშვებელია. ევროპარლამენტის სხდომაზეც ამ მხრივ ერთიანობა შეინიშნებოდა.

რეზოლუცია პოლონელმა დეპუტატმა ანა ელჟებეტა ფოტიგამ მოამზადა. მასში საუბარია იმ ფართომასშტაბიან პროპაგანდაზე, რომელსაც ევროპის წინააღმდეგ ისლამისტები და რუსები აწარმოებენ. ის ფაქტი, რომ ისლამური სახელმწიფო რუსეთთან ერთ სიბრტყეზეა დაყენებული, ზოგს არ მოეწონა, თუმცა უმრავლესობამ ამას მხარი დაუჭირა.

რეზოლუციაში კრემლის საქმიანობა ორ ნაწილადაა დაყოფილი: პირველი – ძირგამომთხრელი მოქმედება აღმოსავლეთის პარტნიორი ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) წინააღმდეგ და მეორე – ევროკავშირის წინააღმდეგ.

– რუსეთი ცდილობს, წარმოაჩინოს უკრაინა არშემდგარ სახელმწიფოდ, სადაც გამეფებულია ქაოსი, განუკითხაობა, სადაც ფაშისტები დაუსჯელად დაჯლიგინებენ. პუტინის მიზანია, დაარწმუნოს ევროპა, რომ უკრაინის მხარდაჭერა სრული უაზრობაა, – ნათქვამია რეზოლუციაში.

რუსეთი აქტიურად იღვწის ევროკავშირის დაშლისათვის. ამ მიზნით კრემლი იყენებს როგორც სხვადასხვა ფონდს (მაგ. „რუსსკი მირი“), ასევე რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. პუტინის მმართველობის ხანაში რუსეთის ეკლესია სახელმწიფოს დანამატად გადაიქცა. ის ქმნის იდეოლოგიურ სარჩულს რუსული ექსპანსიონიზმისთვის, რომელიც აქტიურად გამოიყენება ევროკავშირის ერთიანობის შესარყევად.

ამას გარდა, კრემლი აფინანსებს აშკარა ანტიდასავლურ, ანტიდემოკრატიულ და პროფაშისტურ ორგანიზაციებს. ეს უკანასკნელნიც ერთიანი ევროპის წინააღმდეგ გამოდიან.

– ამასთან შეგუება არ შეიძლება, – ნათქვამია რეზოლუციაში.

განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმას, რომ რუსული პროპაგანდა უნდა განეიტრალდეს არა პოლიციური მეთოდებით (აკრძალვა, ჯარიმები და ა.შ.), არამედ პრესის თავისუფლების კიდევ უფრო გაზრდით. საუბარია იმ მუშა ჯგუფის გაზრდა-გაფართოებაზე, რომლებიც უკვე არსებობს. მის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს განყოფილება, რომელსაც ექნება თავისი ფინანსები. მისი ამოცანა რუსების მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის მხილება იქნება.

ევროპარლამენტმა ხსენებული რეზოლუცია ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო. ამან ვლადიმერ პუტინი აღაშფოთა.

– ასეთი რეზოლუციის მიღება ევროპის პოლიტიკური ელიტის დეგრადაციაზე მიუთითებს! – თქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# პაბლო ესკობარის შვილმა საკუთარი ბავშვობა დისნეილენდში ცხოვრებას შეადარა



კოლუმბიელი ნარკობარონის პაბლო ესკობარის შვილმა, არგენტინაში ემიგრირებულმა არქიტექტორმა ხუან პაბლომ, ერთ-ერთი ამერიკული არხის ტელეშოუ 60 წუთს საკუთარ ბავშვობაზე მოუთხრო, რომელიც ფუფუნებაში გაატარა. ასევე ისაუბრა მამის მიმართ სიყვარულზე.

ხუან პაბლოს თქმით, მისმა ბავშვობამ მდიდრულ სახლებში გაიარა. მას უდიდესი რაოდენობის სათამაშოები, ტექნიკური სიახლეები ჰქონდა, ასევე შეეძლო, თვალი ედევნებინა ეგზოტიკური ცხოველებისთვის, რომლებიც მათ ოჯახურ რეზიდენციებში ბინადრობდნენ.

– თითქოს დისნეილენდში ვცხოვრობდი. ჟირაფები, სპილოები, მოტოციკლეტები, უამრავი ნივთი, რომლითაც შემეძლო გართობა და უამრავი ფული, რომელიც შემეძლო დამეხარჯა, – გაიხსენა ხუან პაბლომ.

მიუხედავად იმისა, რომ 1993 წელს, მამის დაღუპვის შემდეგ, უმცროსი ესკობარი იძულებული გახდა, კოლუმბია დაეტოვებინა და გვარი შეეცვალა, მან ინტერვიუში განაცხადა, რომ მშობლებით ამაყობს იმ სიყვარულისთვის, რომელსაც ის აძლევდა საკუთარ ოჯახს.

– მზად ვიყავი, მისთვის სიცოცხლე გამეწირა. ვერასოდეს შევძლებდი, შემეძულებინა მამაჩემი, – ხაზგასმით განაცხადა ხუან პაბლომ, თუმცა, იქვე ისიც აღნიშნა, რომ მამის დანაშაულებრივი საქმიანობით აღფრთოვანებული არ ყოფილა.

ხუან პაბლო პირველად გამოჩნდა მედიასივრცეში და განმარტა, რომ არავის დამალვია, უბრალოდ, მშვიდად ცხოვრება სურდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები


**მომსახურება**

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავებაშეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.


# ამერიკელმა გოგონამ საკუთარ კარადაში ძებნილი დამნაშავე აღმოაჩინა

ამერიკის ოკლაჰომის შტატის მცხოვრებმა გოგონამ საკუთარ კარადაში უცნობი მამაკაცი აღმოაჩინა, რომელიც ძებნილი დამნაშავე აღმოჩნდა.

11 წლის პრესლი ბრაუნი მომხდარის გამო შოკიდან ჯერაც ვერ გამოსულა. მან რეის კოქსის გამოსახულება საძინებლის სარკეში შენიშნა. 26 წლის მამაკაცი კარადაში იყო დამალული, სადაც გოგონას ჩასაცმელები ინახებოდა. გოგონას ყვირილზე მისმა მშობლებმა მოირბინეს. პრესლის მამასთან შეხლა-შემოხლის შემდეგ კოქსმა 100 დოლარის გატაცება და გაქცევა მოახერხა. როგორ შეაღწია მან სახლში, უცნობია.

– ყოველ ჯერზე, როდესაც ჩემს ოთახში ან სააბაზანოში შევდივარ, ამ შემთხვევაზე ვფიქრობ და მახსენდება, როგორ შევშინდი, – განაცხადა გოგონამ.




აღსანიშნავია, რომ კოქსს ადგილობრივი პოლიცია ეძებდა. ის მეორე დილით დააპატიმრეს. მას უკვე ოთხი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად, მათ შორის ქურდობა და დაკავების დროს სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




## ტურმალინის საცვლები

ტურმალინს გააჩნია ბუნებრივი (bioenergy) სამკურნალო თვისებები. იგი ერთადერთი მინერალია, რომელსაც გააჩნია მაგნიტური ველი. ტურმალინი ასხივებს ინფრაწითელ სხივებს, რაც ათავისუფლებს თავისუფალ რადიკალებს. თავისუფალი რადიკალები არის ეგრეთწოდებული „ნარჩენები“, რომელსაც ორგანიზმში წარმოქმნის დაბინძურებული გარემო, ულტრაიისფერი სხივები, სიგარეტის კვამლი, გამონაბოლქვი და სხვა გარემო ფაქტორი.

თავისუფალი რადიკალები ზიანს აყენებენ უჯრედულ სტრუქტურას. უკიდურეს შემთხვევაში იწვევს კიბოს გაჩენას. ტურმალინი წერტილოვნად არის დატანილი ქვედა საცვლის ზედაპირზე. შედეგად, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, რაც ხელს უწყობს უჯრედების ჟანგბადით მომარაგებას, ასტიმულირებენ ნერვულ დაბოლოებებს, .აუმჯობესებს სისხლძარღვთა გამტარობას, აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ებრძვის 650-ზე მეტი სახეობის ბაქტერიას.

ტურმალინის ნანო ზედაპირი აღადგენს შარდსასქესო სისტემის ფუნქციას, ცისტიტი, ურეთრიტი, უნებლიე და ხშირი შარდვა, წვა და ტკივილი შარდვის დროს, ფეხების დაბუჟება, თირკმლის დაავადებები (ნეფრიტი, პიელონეფრიტი), კუჭის წყლულები, ყაბზობა, მეტეორიზმი, ბუასილი. ეფექტურად მოქმედებს ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე, ამცირებს კუნთების ტკივილს, საჯდომის ნერვის ანთებას, ხერხემლისა და წელის მიდამოს ოსტეოქონდროზს. აქვს ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. უკუგანვითარებას იწყებენ ფარული ინფექციები, სქესობრივი გზით გადამდები ვენერიული დაავადებები (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, გენიტალური ჰერპესი და სხვა).

ქალბატონებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, გამონადენი, ვაგინიტი, ენდომეტრიტი, მტკივნეული მენსტრუაცია, კლიმაქსის პერიოდი, სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებები, საშვილოსნოს ყელის ეროზია, საშვილოსნოს ფიბრომა, კისტა, ფრიგიდულობა, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აღადგენს ჰორმონალურ ბალანსს, რეპროდუქციულ სისტემას.

მამაკაცებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი, წვა და ტკივილი შარდვის დროს, სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, აღადგენს და აძლიერებს პოტენციას სექსუალური ფუნქციის დაქვეითების დროს, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აუმჯობესებს სათესლე ჯირკვლების მდგომარეობას.

**შემადგენლობა**

ტურმალინის ძაფი 78 %, აბრეშუმი, ტურმალინის მიკროკრისტალები, ანტიალერგიული, კომფორტული, სასიამოვნო და უვნებელი მასალა.

ტურმალინის საცვლებს რეკომენდაციას უწევენ პროქტოლოგები, გინეკოლოგები. ნეფროლოგები.

**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 79. „მედტექნიკა“**

**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

**ფასი 35 ლარი**





**ელექტროლეიბი – ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160

რეჟიმი: 2

დაცულია გადახურებისგან.

**ფასი 30 ლარი**

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე);**

**ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**

**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

# გიორგი გოგშელიძეს ოლიმპიური ვერცხლი გადაეცემა

თავისუფალი სტილის მოჭიდავე გიორგი გოგშელიძეს 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალი გადაეცემა, შესაბამისად, მას პეკინში მიღებული ბრინჯაოს მედლის დაბრუნება მოუწევს.



ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანებამ, რომელმაც გაითვალისწინა მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს დოპინგტესტების შედეგები და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემები.

ამ დოკუმენტების მიხედვით, 96 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე და ფინალში გასულ თაიმურაზ თიგიევს (ყაზახეთი) განმეორებით სინჯშიც აღმოუჩინეს აკრძალული პრეპარატის – ტურინაბოლის კვალი. არსებული წესების თანახმად, პეკინში თიგიევის მიერ ნაჩვენები შედეგი ანულირებულია. შესაბამისად, ბრინჯაოსან გიორგი გოგშელიძეს, რომელიც ნახევარფინალში სწორედ თიგიევთან დამარცხდა, მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მიენიჭა.

ამავე წონაში ბრინჯაოს მედალს მიიღებს მეხუთეადგილოსანი მიშელ ბატისტა (კუბა), რომელმაც სამედლო ბრძოლა გოგშელიძესთან წააგო.

არადა, რომ არა თიგიევთან მარცხი, შესაძლოა, გოგშელიძეს პეკინში ოქროც კი მოეგო.

ასევე გადაისინჯება პეკინის ოლიმპიადის შედეგები თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის კიდევ რამდენიმე წონით კატეგორიაში.

# საქართველოს ნაკრებმა რეიტინგში სამი პოზიციით წაიწია

ფიფამ ეროვნულ ნაკრებთა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც 3 პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა და ამჟამად 119-ე ადგილზე იმყოფება.



რეიტინგში პირველობას არგენტინის ეროვნული ნაკრები ინარჩუნებს, მეორე ადგილზე კი ბრაზილიელებმა აინაცვლეს და გერმანელებს გაუცვალეს ადგილი. პირველ ათეულში ცვლილებები შეეხოთ ჩილეს, ბელგიისა და კოლუმბიის ნაკრებებსაც – ჩილელებმა ორი საფეხურით წინ წაიწიეს და მეოთხე ადგილზე იმყოფებიან, ხოლო ბელგიელები და კოლუმბიელები თითო პოზიციის დათმობის შემდეგ, შესაბამისად, მე-5 და მე-6 ადგილებს იკავებენ.

თბილისში ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ 11 ადგილით წინ წაიწია მოლდოვამ და ახლა 162-ე ადგილზეა. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ქართველთა სხვა მეტოქეებიდან მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს ირლანდიის ნაკრებს, რომელმაც 33-დან 23-ე ადგილზე აინაცვლა, ხოლო უელსმა, ავსტრიამ და სერბეთმა თითო პოზიცია დათმეს.

**საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:**

1.არგენტინა – 1.634 ქულა; 2.ბრაზილია – 1.544; 3.გერმანია – 1.433; 4.ჩილე – 1.404; 5.ბელგია – 1.368; 6.კოლუმბია – 1.345; 7.საფრანგეთი –1.305; 8.პორტუგალია – 1.229; 9.ურუგვაი – 1.187; 10.ესპანეთი – 1.166;

# ლაშა ტალახაძესა და ვლადიმერ ხინჩეგაშვილს ოლიმპიური ვარსკვლავები გაუხსნეს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტში რიოს 2016 წლის ოლიმპიურ ჩემპიონებს, ვლადიმერ ხინჩეგაშვილსა და ლაშა ტალახაძეს ვარსკვლავი გაუხსნეს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ორივე სპორტსმენს ქართული სპორტის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებისა და საქართველოს წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.



სპორტსმენებს ჯილდოები პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა გადასცა.

სახელობითი ვარსკვლავების გახსნის შემდეგ სპორტსმენებმა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდოც მიიღეს – 50-50.000 ლარის ოდენობით.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა ლაშასა და ვლადიმერს ეს მნიშვნელოვანი დღე მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალშიც მრავალი ოლიმპიური ჩემპიონი ეყოლება საქართველოს.

შეგახსენებთ, რომ რიო 2016-ზე ლაშა ტალახაძემ ატაცში 215, ხოლო აკვრაში 258 კილოგრამი დასძლია და ოლიმპიურ ოქროს მედალთან ერთად ამ მაჩვენებლით ოლიმპიური რეკორდსმენიც გახდა.

რაც შეეხება ვლადიმერ ხინჩეგაშვილს, მან თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონობა.

# მერვედფინალისტებს ბარსელონა და სიტი დაემატნენ

**დასრულდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტური და მერვედფინალში უკვე გასულ 10 გუნდს კიდევ ორი დაემატა – ბარსელონა და მანჩესტერ სიტი.**




## ა ჯგუფი

### არსენალი-პსჟ 2:2

<u>0:1 კავანი (18), 1:1 ჟირუ (45პ), 2:1 ვერატი (60სკ), 2:2 ივობი (77სკ)</u>

**არსენალი**: ოსპინა, ჯენკინსონი (ოქსლეიდ-ჩემბერლენი 81), მუსტაფი, კოშელნი, გიბსი, კოკლენი (უოლკოტი 80), რემზი, სანჩესი, იოზილი, ივობი (ხ.ჯაკა 77), ჟირუ

**პსჟ**: არეოლა, მიონიე, მარკინიოსი, ტიაგო სილვა, მაქსველი, მოტა, კრიხოვიაკი (ბენ არფა 67), ვერატი, მატუიდი, ლუკასი (ხესე 89), კავანი

მხიარული მატჩი გამოდგა, სადაც უპირატესობა პსჟ-ს დარჩა. მართალია, თამაში ფრედ დასრულდა, მაგრამ თანაბარ ქულებზე ურთიერთშეხვედრებით წინ ფრანგული გუნდია.

ანგარიში მე-18 წუთზე ედინსონ კავანიმ გახსნა, რასაც ტაიმის მიწურულს ოლივიე ჟირუმ პენალტით უპასუხა.

მე-2 ტაიმშიც თითო გოლი გაიტანეს გუნდებმა, მხოლოდ საკუთარ კარში: ჯერ ვერატიმ, შემდეგ – ივობიმ და თამაშიც 2:2 მორჩა.

ორივე გუნდი ისედაც მერვედფინალში იყო, ბოლო ტურში კი პირველი ადგილის ბედი გადაწყდება, სადაც უპირატესობა ფრანგებს აქვთ.

### ლუდოგორეცი-ბაზელი 0:0

**ლუდოგორეცი**: სტოიანოვი, სისინიო, პალომინო, მოცი, ნათანიელი, დიაკოვი, ანისენტი, კაფუ, ვანდერსონი (კამპანიარო 90), მისიჯანი (ლუკოკი 84), კეშერუ (პლასტუნი 90)

**ბაზელი**: ვაცლიკი, ლანგი, სუხი, ბალანტა, ტრაორე, ა.ჯაკა, ბიარნასონი (კალა 85), დელგადო (სპორარი 80), ზუფი, ელიუნუსი, დუმბია (იანკო 79)

ორივე გუნდი ევროპალიგაზე გადასასვლელად იბრძვის და ახლა მეტი შანსი ლუდოგორეცს აქვს, რადგან პირად შეხვედრებში სჯობნის მეტოქეს. თუმცა, ორივე გუნდი მაინც სხვებზეა დამოკიდებული.

ბაზელს მოგება სჭირდებოდა და უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ ამაოდ დაშვრა. საბოლოოდ, – 0:0.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 5 | 3 | 2 | 0 | 11-5 | 11 |
| 2.არსენალი | 5 | 3 | 2 | 0 | 14-5 | 11 |
| 3.ლუდოგორეცი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-13 | 2 |
| 4.ბაზელი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-8 | 2 |

**ბოლო ტური**

**6 დეკემბერი:** პსჟ-ლუდოგორეცი; ბაზელი-არსენალი.

## ბ ჯგუფი

### ბეშიქთაში-ბენფიკა 3:3

<u>0:1 გედესი (10), 0:2 სემედო (25), 0:3 ფეისა (31), 1:3 ტოსუნი (58), 2:3 კვარეჟმა (83პ), 3:3 აბუბაქარი (89)</u>

**ბეშიქთაში:** ფაბრი, გიონული (ტოსუნი 46), მარსელო, ტოშიჩი (ნიუკანი 60), ბეკი, არსლანი (ინლერი 46), ჰატჩინსონი, ადრიანო, იოზიაკუპი, კვარეჟმა, აბუბაქარი

**ბენფიკა**: ედერსონი, სემედო, ლუიზაო, ლინდელოფი, ელიზეუ, ფეისა, პიცი, სალვიო, სერვი (რაფა სილვა 64), გედესი (სამარისი 75), მიტროღლუ (ხიმენესი 86)

სტამბოლში 6-გოლიანი თრილერი ვიხილეთ. თურქებმა საოცარი მოახდინეს. ნახევარი საათის თავზე 0:3-ს აგებდნენ და ქულა მაინც გადაარჩინეს.

თურქული თრილერის დასაწყისი 58-ე წუთი გამოდა, როდესაც ტოსუნმა ერთი გოლი გაქვითა, მატჩის მიწურულს კი, რიკარდო კვარეჟმამ ჯერ პენალტი გაიტანა, ბოლოს კი ვენსან აბუბაქარმა გაათანაბრა.

### ნაპოლი-დინამო (კ) 0:0

**ნაპოლი:** რეინა, ჰიუსაი, ალბიოლი, კულიბალი, გულამი, ზელინსკი (ალანი 78), დიავარა, ჰამშიკი, კალეხონი, ინსინიე (გაბიადინი 66), მერტენსი (ჯაკერინი 86)

**დინამო**: რუდკო, მოროზიუკი, ხაჩერიდი, ვიდა, მაკარენკო, სიდორჩუკი (ორიჰოვსკი 67), რიბალკა, გარმაში, იარმოლენკო, ციგანკოვი (გონსალესი 60), ბესედინი (მორაეში 81)

ეს შედეგი არცერთ გუნდს არ აწყობდა. კიეველები უკვე დაემშვიდობნენ ევროთასებს, ხოლო ნაპოლის ჯგუფიდან გასვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დაუდგა.

თამაში უფერული იყო, რასაც ვერ ვიტყვით მატჩისწინა მოვლენებზე, როდესაც ადგილობრივმა ხულიგნებმა კიეველთა ორი ქომაგი დაჭრეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-7 | 8 |
| 2.ბენფიკა | 5 | 2 | 2 | 1 | 9-8 | 8 |
| 3.ბეშიქთაში | 5 | 1 | 4 | 0 | 9-8 | 7 |
| 4.დინამო | 5 | 0 | 2 | 3 | 2-6 | 2 |

**ბოლო ტური**

**6 დეკემბერი:** დინამო-ბეშიქთაში; ბენფიკა-ნაპოლი.

## ც ჯგუფი

### სელტიკი-ბარსელონა 0:2

<u>0:1, 0:2 მესი (24, 55პ)</u>

**სელტიკი**: გორდონი, ლუსტიგი, სიმუნოვიჩი, სვიატჩენკო, ისაგირე, მაკგრეგორი (რობერტსი 72), არმსტრონგი, ბრაუნი, როგიჩი (ბიტონი 64), სინკლერი (ფორესტი 46), დემბელე

**ბარსელონა**: ტერ შტეგენი, სერხი რობერტო, პიკე (მარლონი 72), მასკერანო, ალბა (დინი 66), რაკიტიჩი, ბუსკეტსი, გომესი, მესი, ნეიმარი (არდა თურანი 77), სუარესი

კატალონიელებმა მშვიდად, ზედმეტი ჯაფისა და ოფლის ღვრის გარეშე მოიგეს. გოლები მესის ანგარიშზეა: ჯერ თამაშიდან, შემდეგ – 11 მეტრიდან. ლეოს ანგარიშზე ამ სეზონში უკვე 9 გოლია ლიგაზე.

### გლადბახი-სიტი 1:1

<u>1:0 რაფაელი (23), 1:1 სილვა (45)</u>

**გლადბახი**: ზომერი, ელვედი, კრისტენსენი, იანტშკე, ვენდტი, დაუდი (ვესტეგაარდი 60), შტრიობლი, ტრაორე (ჰოფმანი 41), შტინდლი, იონსონი, რაფაელი (ჰანი 84)

**სიტი**: ბრავო, ოტამენდი, სტოუნსი, კოლაროვი, ნავასი, სილვა, ფერნანდინიო, გიუნდოგანი, სტერლინგი (სანია 68), დე ბრუინი, აგუერო

**გაძევება**: შტინდლი (51), ფერნანდინიო (63)

გერმანელებს მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ და დასაწყისიც კარგი ჰქონდათ – რაფაელმა გლადბახი დააწინაურა, მაგრამ დავიდ სილვამ გაათანაბრა. ახლა სიტი 3 ქულით უსწრებს მეტოქეს და ბოლო მატჩს მნიშვნელობა აღარ აქვს – ურთიერთშეხვედრებში ინგლისელებს უპირატესობა აქვთ.

ჰო, გუნდებმა 10-10 კაცით დაასრულეს თამაში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 5 | 4 | 0 | 1 | 16-4 | 12 |
| 2.სიტი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-9 | 8 |
| 3.გლადბახი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 4.სელტიკი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-15 | 2 |

**ბოლო ტური**

**6 დეკემბერი:** ბარსელონა-გლადბახი; სიტი-სელტიკი.

## დ ჯგუფი

### როსტოვი-ბაიერნი 3:2

<u>0:1 კოშტა (36), 1:1 აზმუნი (44), 2:1 პოლოზი (49პ.), 2:2 ბერნატი (52), 3:2 ნობოა (66)</u>

**როსტოვი**: ჯანაევი, კალაჩევი (ტერენტიევი 87), მევლია, ნავასი, გრანატი, კუდრიაშოვი, ეროხინი, გაიტანი, ნობოა, აზმუნი (გრიგორიევი 82), პოლოზი (ეზატოლაჰი 90)

**ბაიერნი**: ულრაიხი, რაფინია, ბოატენგი (ჰუმელსი 58), ბადშტუბერი, ბერნატი, ლამი, ალკანტარა, სანჩესი (მიულერი 73), კოშტა, რიბერი, ლევანდოვსკი

რას ვერ გაუძლო ბაიერნმა – რუსულ ყინვას თუ უმოტივაციობას? ბავარიელები მერვედფინალისტისა და ფავორიტის რანგში ჩავიდნენ როსტოვში. ანგარიშიც მათ გახსნეს და თითქოს ყველაფერი ლოგიკურად უნდა წარმართულიყო, მაგრამ...

ტაიმის მიწურულს აზმუნმა გაათანაბრა, მეორე ტაიმში კი პენალტი პოლოზმა გოლად გარდასახა. გერმანელებმა უმალ გაათანაბრეს და თითქოს ყველაფერი ისევ კალაპოტს დაუბრუნდა, მაგრამ ბოლო სიტყვა კრისტიან ნობოამ თქვა და როსტოვს საჭირო 3 ქულა მოუტანა.

### ატლეტიკო-პსვ 2:0

<u>1:0 გამეირო (55), 2:0 გრიზმანი (66)</u>

**ატლეტიკო**: ობლაკი, ვრსალიკო, ხიმენესი, გოდინი, ლუიში (ხუანფრანი 76), კოკე, ტიაგო (საული 75), გაბი, ფერეირა-კარასკო, გამეირო, გრიზმანი

**პსვ**: ზოეტი, არიასი, შვააბი, მირინი, მორენო, ვილემსი (დე ვისი 46), ზინჩენკო, პრიოპერი (ლუნდკვისტი 84), რამსელაარი, ბერგვინი (ნარსიგი 61), პერეირო

ატლეტიკომ ჯგუფი ნაადრევად მოიგო. გამეიროსა და გრიზმანის გოლები მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 5 | 5 | 0 | 0 | 7-1 | 15 |
| 2.ბაიერნი | 5 | 3 | 0 | 2 | 13-6 | 9 |
| 3.როსტოვი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-12 | 4 |
| 4.პსვ | 5 | 0 | 1 | 4 | 4-11 | 1 |

**ბოლო ტური**

**6 დეკემბერი:** ბაიერნი-ატლეტიკო; პსვ-როსტოვი.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

საკალათბურთო ლეგიონის ამბები




# ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა ლეიკერსთან შური იძიეს

როგორც ჩანს, გოლდენ სტეიტის კალათბურთელები ძალიან გააბრაზა სეზონის დასაწყისში ლოს ანჯელეს ლეიკერსთან საკუთარ მოედანზე წაგებამ და ამ გუნდთან მორიგ შეხვედრაშივე იძიეს შური.

ლეიკერსელები ისევ ოკლენდში ჩავიდნენ, თუმცა ამჯერად დიდად შერცხვენილები დარჩნენ. გოლდენ სტეიტის კალათბურთელებმა საკლუბო ისტორიაში სარეკორდო 47 პასი გააკეთეს და საბოლოოდ ლეიკერსი 149:106 გაანადგურეს.

მატჩის ბედი მესამე პერიოდის შუაწელში გადაწყდა, როცა მასპინძელთა უპირატესობამ 30 ქულას მიაღწია. სწორედ ამ მომენტში გავიდა მოედნიდან ზაზა ფაჩულია და ასპარეზი სათადარიგოებს დაეთმოთ, რომლებმაც არათუ დააგდეს ტემპი, არამედ სხვაობა უფრო გაზარდეს და საბოლოოდ გოლდენ სტეიტმა 43-ქულიანი გამარჯვება იზეიმა.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო, მოედანზე 18 წუთი გაატარა და 6 ქულა, 3 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 პასი მიითვალა. ფაჩულიამ 3-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

ეს გახლდათ ოკლენდელთა ზედიზედ მე-9 გამარჯვება, თუმცა არ აგებს არც ლოს ანჯელეს კლიპერსი, რომელსაც გოლდენ სტეიტზე ერთით მეტი გამარჯვება აქვს და დასავლეთ კონფერენციაში ლიდერობს.

მომდევნო მატჩი ფაჩულიას გუნდს ისევ ლეიკერსთან ელის. ეს გუნდები ერთმანეთს ამჯერად ლოს ანჯელესში შეხვდებიან.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რძე 16 ალერგენს შეიცავს

## გაზაფხულზე ალერგიების პიკია

ეკა ირემაშვილი

**ბოლო პერიოდში საკმაოდ მოიმატა ალერგიულმა ფონმა როგორც საქართველოში, ასევე მთელ მსოფლიოში. ალერგოლოგები მოსახლეობას მოუწოდებენ, დროულად მიაქციონ ყურადღება ამ დაავადებას და პირველივე სიმპტომების გამოვლინებისას მიმართონ სპეციალისტს. საქართველოში ალერგიული ფონის მატებასთან დაკავშირებით ალერგოლოგი თინა მურადაშვილი გვესაუბრება:**



– ბოლო პერიოდში ალერგიული ფონი მომატებულია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. დღევანდელი ყოფითი ცხოვრებისთვის ალერგიული დაავადებები ძალიან პრობლემურია. ისინი კი არ მცირდება, პირიქით, იზრდება.

***– რატომ?***

– ალერგიული დაავადებები განვითარებულ ქვეყნებში პროცენტულად უფრო მეტია, ვიდრე განუვითარებელში. მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ალერგიულ დაავადებებს განვითარებად ქვეყნებში სხვადასხვა ფაქტორი იწვევს, მათ შორის, არაჯანსაღი გარემო, არაჯანსაღი კვება, დეზოდორანტები, სახლის სისუფთავისთვის განკუთვნილი ქიმიური საშუალებები – ყველა ძლიერი ალერგენია.

***– მტვერი?***

– რა თქმა უნდა, მტვერი, გამონაბოლქვი უმთავრესია. სამწუხაროდ, ბევრი პრობლემაა საქართველოში – ჩამდინარე წყლების, დაბინძურებული ჰაერის.

***– რა იწვევს ალერგიას?***

– ალერგიული ფონი ორ ნაწილად იყოფა – გენეტიკური ფაქტორი, რომელიც მშობლებისგან გადაეცემა ადამიანს და შეძენილი.

ადამიანებს ალერგია აქვთ მტვერზე, სხვადასხვა გამომწვევ სუნზე, ჩასაცმელზე. სინთეტიკური ქსოვილი საკმაოდ ალერგიულია. დღეისათვის ნაკლებად იყიდება ფანელის, ჩითის ქსოვილები. შალიც ძლიერი ალერგენია. გენეტიკურად განწყობილი ბავშვები, მოზარდები თუ უფროსები მაქსიმალური ყურადღებით უნდა იყვნენ.

***– რა არის პირველი ეტაპი?***

– ამის გამოვლინების პირველი ეტაპია ბავშვობა, რომელიც კვებასთან არის დაკავშირებული. 16 ალერგენს შეიცავს რძე, ამიტომ ბავშვებს, ახალშობილებსა და ცოტა მოზრდილებსაც კი განწყობა აქვთ ამ ალერგენების მიმართ.

პირველ პერიოდში ალერგიის გამოვლენა იწყება ბავშვობიდანვე ლოყებსა და შუბლის არეში სიწითლით. ამას ჰიპერემიას ვეძახით, რომელიც გამონაყრად ყალიბდება. ყველაზე მგრძნობიარეა ადამიანის სახე.

თუ ვითარება გართულდა, გადადის მეორე ეტაპზე, იღლიებში, იდაყვების არეებში, მუცლის არეებში და პროგრესირება თავის თმიან ნაწილებში აღწევს.

***– რა სიმპტომები აქვს?***

– ქავილი, წვა. ჰისტამინის ჭარბად გამოყოფის პერიოდში შეიძლება სახისა და პირის ლორწოვანის შეშუპებით გამოვლინდეს. ეს უკვე რთული ფორმაა, რომელიც სპაზმით შეიძლება მიმდინარეობდეს.

***– რა იწვევს სპაზმს?***

– სხვადასხვა ფაქტორი, თუნდაც გაზაფხულზე მცენარეების ყვავილების მტვერი, საკვები, თევზიც კი.

***– რით არის საფრთხილო მგრძნობიარე კანი?***

– მგრძნობიარე კანის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ექიმის კონსულტაცია, რომ არ ჩამოყალიბდეს კონტაქტური დერმატიტი კანის კრემების, ლოსიონებისა და ზეთების თვითნებურად გამოყენების დროს. მგრძნობიარე კანის ადამიანებმა მაქსიმალურად ბუნებრივი ქსოვილებისგან დამზადებული სამოსი უნდა ატარონ, რათა გართულებები თავიდან აიცილონ.

***– რატომ იმატებს ალერგიები გაზაფხულზე?***

– გაზაფხულზე ალერგიების პიკია, განსაკუთრებით მაისი. ალერგიული დაავადებები იმატებს ხე-მცენარეების ყვავილობის პერიოდში. ბავშვებში ეს განწყობა ძალიან მაღალია, რომელიც სურდოთი ვითარდება. ამას ემატება თვალებიდან ცრემლდენა, თვალების წვა. ეს სეზონურად ემართებათ მხოლოდ ბავშვებს. სოფელში ხშირად არ მკურნალობენ და განკურნება თავისით ხდება.

ქალაქში კი სულ სხვა გარემოა, ამიტომ, თუ ადამიანს დროულად არ მიექცა ყურადღება, შეიძლება ბრონქული ასთმა, ალერგიული ბრონქიტი ჩამოყალიბდეს. დიდი შეცდომაა, ალერგიული დაავადებები ხველით როცა ვლინდება, თერაპევტთან მიდიან ხოლმე. ამ პერიოდში ძალიან ძნელია დიფერენცირება, ეს ალერგიული სპეციფიკისაა თუ ბრონქიტის.

***– მოზარდობის ასაკში ცხვირში გაჭედვა ალერგიული რინიტის ნიშანია?***

– ალერგიული ფონი იმატებს სიცივიდან სითბოში გადმოსვლისა და პირიქით, სითბოდან სიცივეში გადასვლისას. თუ გაზაფხული წვიმიანია, წვიმა ჩამორეცხავს და დაავადების პროგრესირება ნაკლებია. ბოლო სამი წელია, ხე-მცენარეების ყვავილობის დროს წვიმიანი ამინდებია და პაციენტთა მომართვიანობამაც იკლო.

ალერგიული რინიტი სეზონური დაავადებაა, რომელიც ან გაზაფხულზე ვლინდება, ან შემოდგომაზე, მაგრამ, არიან ადამიანები, რომლებსაც ის მთელი წლის განმავლობაში აქვთ. ამას გარემო ფაქტორები იწვევს. თუ ალერგიული რინიტი მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს, მას მკურნალობა სჭირდება პროფესიონალ მკურნალთან.

ალერგიული რინიტები უფრო მოზრდილობის პერიოდში ვლინდება და დროთა განმავლობაში გადის. 12-13 წლიდან იწყება და, რაც უფრო იზრდება ადამიანი, მით უფრო მსუბუქი ფორმით მიმდინარეობს, 24-25 წლის ასაკში კი თვითგანკურნებადია, რაც არ უნდა მწვავე რინიტი იყოს, თუ გენეტიკური დატვირთვა არ არის.

***– სიცივეში ალერგიული ფონი იკლებს?***

– როცა აცივდება, სიცივის ალერგიის პერიოდი იწყება. ეს უფრო მეტად მოზრდილებში ვლინდება. განსაკუთრებით ქალები ჭარბობენ 30-35 წლის ასაკში და ბავშვები. სიცივის ალერგია იმუნური სისტემით მიმდინარე არ არის, ამიტომ მას უნდა სპეციფიკური თავის დაცვა, ძლიერ ყინვაში მხოლოდ ხელთათმანებით უნდა გავიდეს ადამიანი გარეთ. სიცივის ალერგიის გართულებაა ჭინჭრის ციება. თუ ჭინჭრის ციება გამოვლინდა ლორწოვანზე, თვალებზე იცის წვა, ქავილი, ცრემლდენა და პირის ღრუს ლორწოვანის შეშუპება. სიცივის ალერგია საკმაოდ გავრცელებულია. მუქი ფერის თვალის უპეები ალერგიის მიდრეკილების ნიშანია. ალერგიამ იცის ქვედა ქუთუთოების ჩამუქება. სიცივის ალერგია არის ხელების შეშუპება. ეს არის ხელთათმანის სინდრომით შეშუპება, სიწითლე, წვის შეგრძნებაა. ნორმალურ ტემპერატურაზე შესვლისას კანი ისევ პირვანდელ სახეს იბრუნებს.

არ შეიძლება ამ პერიოდში ცივი წყლის დალევა, ნაყინის ჭამა, ცივ ამინდში სეირნობა, ყინულზე ხელის მოკიდება. სიცივის ალერგიის დადგენა უმარტივესად შეიძლება. სიცივის ალერგიას განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება. ჯარშიც კი არ მიჰყავთ სიცივის ალერგიის გამო, შეიძლება, წყალში რომ მოხვდეს ჯარისკაცი, შეშუპება დაიწყოს, შოკი განვითარდეს და ადამიანი დაიღუპოს. 35-40 წლის ადამიანებში უფრო მეტია სიცივის ალერგია, ეს კი წარსულის ბრალია. მათ სკოლაში სიცივეში მოუწიათ გაყინულ საკლასო ოთახებში სწავლა, გათბობა რომ არ იყო. იმ სიცივეზე ჩამოუყალიბდათ სიცივის ალერგია. ბევრმა არც კი იცის და, სინჯებს რომ ვაკეთებთ, მაშინ იგებენ.

ალერგია მრავალი სახისაა. გოგონებს ხშირად ალერგია ემართებათ ტუშზე, თვალის ფანქარზე, საცხებზე, ზოგადად კოსმეტიკაზე, ამიტომ მაღალი ხარისხის პროდუქცია უნდა შეიძინონ და იკითხონ, არის თუ არა ანტიალერგიული.

თუ ადამიანს ალერგიული განწყობა აქვს და ოჯახში ხალიჩაა დაფენილი, უნდა აიღოს, ლინოლეუმი ან



იატაკი სველი წესით რამდენჯერმე უნდა დაამუშაოს. სახლში სინოტივე არ უნდა იყოს დიდი დოზით, მაქსიმალური სიმშრალე უნდა იყოს ბინაში, ხშირად უნდა ნიავდებოდეს სახლი, რბილ ავეჯზე უნდა გადაეკრას ნატურალური ქსოვილისგან დამზადებული შალითები და ასე დაიცვან თავი. მტვრის პიკი არის დღის პირველ ნახევარში, ამიტომ ამ დროს ფანჯარა ჩაკეტილი უნდა იყოს. უმჯობესია, ოთახი ძილის წინ გაანიავონ და სველი წესით ხშირად დაალაგონ. აბაზანატუალეტი საპნით უნდა ჩამოირეცხოს, ხსნარებით ჩამორეცხვა არ შეიძლება, მით უმეტეს მაშინ, როცა სახლში ალერგიული ადამიანია. სუნამოს სუნი, გამონაბოლქვი, ქიმიური საშუალებების სუნი – ყველაფერი ძლიერი ალერგენებია. პერიფერიაში იმდენად არ იგრძნობა, მაგრამ ცენტრში ზაფხულში გაჩერებაზე რომ დგახარ, საშინელი შეგრძნებაა, თითქოს ვერ სუნთქავ. ეს გამონაბოლქვის გამო ხდება.

***– სახლში სარეცხის გაშრობა მავნებელია?***

– რა თქმა უნდა. სახლში სარეცხის გაშრობა სინოტივეს მატებს სახლის ტემპერატურას, ამიტომ არ არის რეკომენდებული, განსაკუთრებით მაშინ, თუ ალერგიული ოჯახის წევრია სახლში.

***– ოთახის მცენარეები?***

– ოთახის მცენარეები სუნს თუ არ გამოყოფენ, არ წარმოადგენს საფრთხეს, თუმცა სასურველი არ არის, ბავშვის ოთახში ოთახის მცენარე იყოს. კაქტუსს ყვავილობის პერიოდში აქვს სუნი და შეიძლება, ალერგია გამოიწვიოს, თორემ თვითონ კაქტუსი ალერგიას არ მისცემს. სუნის ფაქტორია აქ მთავარი და გადამწყვეტი.

***– რა არის მთავარი იმისთვის, რომ ალერგიების გართულებები თავიდან ავიცილოთ?***

– მთავარია სწორი კვება ბავშვობიდან, ანტიჰისტამინური წამლების მიღება, რომელსაც სპეციალისტი დანიშნავს. ხშირია შემთხვევა, როცა შედიან აფთიაქში და ეკითხებიან, რა მედიკამენტი იხმარონ. ეს არაფრით არ შეიძლება. 6 ჯგუფის ანტიჰისტამინური მედიკამენტია და მათგან რომელი დაავადების დროს რომელია უკეთესი, ეს მხოლოდ ექიმმა იცის.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## ასტროპროგნოზი
### 25 ნოემბრისათვის



**ვერძი** – დიდია ცდუნების ალბათობა. ილუზიებისგან გათავისუფლდით და რეალობა სათანადოდ აღიქვით. **კურო** – ფინანსური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. მთავარია მოთმინება. **ტყუპები** – ნუ გადადგამთ სარისკო ნაბიჯებს. მაინც ის მოხდება, რაც მოსახდენია. თავს უაზროდ ნუ გაინერვიულებთ. **კირჩხიბი** – კომერციული საქმიანობისგან თავი შეიკავეთ. დღეს არ ღირს ახალი საქმის დაწყება. **ლომი** – სულიერ წონასწორობას ვერაფერი დაგირღვევთ. მთავარია, არ იაქტიუროთ და ნურც სხვის საქმეში ჩაერევით. **ქალწული** – იღბლიანი დღეა. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც შეგიძლიათ. საღამოს დაისვენეთ და პირად ცხოვრებას მიხედეთ. **სასწორი** – ნებისმიერ საქმეს თავს იოლად გაართმევთ. შედეგით თქვენც კმაყოფილი დარჩებით და თქვენი მეორე ნახევარიც. **მორიელი** – საქმიან ქაღალდებს დიდი ყურადღებით მოეკიდეთ. დაუფიქრებლობამ, შესაძლოა, დაგაზარალოთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. თქვენი ნაცნობობის წრე ფართოვდება. **თხის რქა** – მშვენიერი პერიოდია ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად. განსაკუთრებით გწყალობთ ბედი შემოქმედებით სფეროში. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. ნერვებს გაუფრთხილდით. ზედმეტი ემოციურობა ჯანმრთელობის მდგომარეობას გაგიუარესებთ. **თევზები** – გარშემომყოფებს სიყვარულით მოეპყარით. საპასუხოდ სიყვარულსა და თანადგომას მიიღებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. გარეგნული მომხიბვლელობა, მიმზიდველობა; 2. ბუვიეს რომანი; 3. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის ნაწილი; 4. ფულის ერთეული ვიეტნამში; 5. ბერძნული ცეკვა; 8. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ მუსიკის ავტორი; 10. კაკაოსგან მომზადებული ტკბილეული; 12. დაბალი ხარისხის შაქარი; 13. ხელოვნური გამოქვაბული პარკებში; 15. ყვითელი, წვნიანი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

**თარაზულად**: 1. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 6. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 7. სამხედრო გადატრიალების მომწყობი, შეთქმულთა ჯგუფი; 10. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 11. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 13. ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 14. ქვანახშირის უჰაეროდ გახურებით მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი ნივთიერება; 16. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე; 17. ბუნებრივი განიავება, ვენტილაცია; 18. დამჟავებული ბოსტნეული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომრებში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### 23 ნოემბერი, №278

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბავარია; 2. სურდინა; 3. მიოკარდი; 4. დელისი; 5. ჰარპუნი; 8. ზანდუკი; 9. ბირთვისი; 12. ტრაულერი; 13. კალმახი; 16. ჭყონდიდი; 17. ბერსეზი; 19. იბერია; 20. ბეკონი.

**თარაზულად**: 6. ვანკუვერი; 7. ძელშავი; 8. ზეკარი; 10. გრაფიკა; 11. ზული; 14. ფლამენგო; 15. ჰამბურგი; 18. იყალთო; 21. ბახმარო; 22. ჰეიგი; 23. ალგეთი; 24. შიომღვიმე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. იედო; 2. ონი; 3. ალარმისტი; 4. ჰიჯრა; 5. ნიაგარა; 8. ბუკე; 9. დიურერი; 10. გენეტიკა; 12. მცხეთა; 13. ნეონი; 15. შაორი.

**თარაზულად**: 1. ინტალიო; 6. პლევრიტი; 7. დუბნა; 10. გურია; 11. აკინი; 13. ნურიე; 14. კოშმა; 16. ევრო; 17. იქთიოლი; 18. პამირი.

### 24 ნოემბერი, №279

**კროსვორდი**

**შვეულად:** 1. ჟურფიქსი; 2. ბამბა; 3. კვარიათი; 4. ყაბახი; 7. ოტიტი; 9. მძივი; 12. „კრაკოვიაკი“; 14. მიზერი; 15. სკუტერი; 17. კოლომბო; 20. აბული.

**თარაზულად:** 5. „მუკუზანი“; 6. ბავარია; 8. კობალტი; 10. ვატიკანი; 11. ქსენძი; 13. ბაიკერი; 16. რიტორიკა; 18. ჰობოი; 19. დურდო; 21. იბერია; 22. „არსენალი“; 23. არაბიკა.

# ლიტერატურის მუზეუმი ვაჟა-ფშაველას იუბილეს აღნიშნავს



გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი ვაჟა-ფშაველას 155 წლის იუბილეს აღნიშნავს.

25 ნოემბერს ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 155 წლისთავისადმი მიძღვნილ ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება მწერლის ფოტოები, ხელნაწერები, მემორიალური ნივთები, გამოცემები, სხვადასხვა მხატვრის შესრულებული პორტრეტები და ნაწარმოებთა ილუსტრაციები.

2016 წელი ვაჟა ფშაველას წელია. მთის არწივად წოდებული შემოქმედი დღესაც აღაფრთოვანებს მკითხველს. მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია ფილმები, რეჟისორები კი სხვადასხვა თეატრებში სპექტაკლებს აქტიურად დგამენ.

ვაჟა-ფშაველას იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა ლიტერატურის მუზეუმში 28 იანვრამდე გაგრძელდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# გერმანელმა ცარიელი ბოთლით 44 ათასი ევრო იშოვა



გერმანიის ქალაქ კიოლნის მცხოვრებმა 44 ათას ევროზე მეტი გამოიმუშავა ერთისა და იმავე ბოთლის ჩაბარებით. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

თაღლითმა მის მაღაზიაში მდგარი ბოთლის მიმღები ავტომატის მოდერნიზირება მოახერხა. მან ის მაგნიტური მოწყობილობითა და ხის გვირაბით აღჭურვა, რომელიც მოწყობილობას პლასტმასის ბოთლის დაქუცმაცების საშუალებას არ აძლევდა, ამან კი საშუალება მისცა, ერთი და იგივე ბოთლი რამდენჯერმე ჩაებარებინა. ყოველ ჯერზე ის მანქანისგან ფულად ანაზღაურებას იღებდა.

იმისთვის, რათა 44 ათასი ევრო გამოემუშავებინა, მოხერხებულ გერმანელს ავტომატში ერთისა და იმავე ბოთლის 177-ჯერ ჩაგდება და ღილაკზე თითის დაჭერა დასჭირდა. სათანადო ანაზღაურების მიღების შემდეგ ის დაუზიანებელ ბოთლს იღებდა და ოპერაციას იმეორებდა.

გერმანულმა კომპანიამ, რომელიც ასეთი ავტომატების დამონტაჟებითაა დაკავებული, თაღლითობა ვერ შენიშნა და მამაკაცს ფულს ბოთლის ყოველ ჩაგდებაზე პატიოსნად უხდიდა. პოლიცია მომხდარით მხოლოდ მას შემდეგ დაინტერესდა, როდესაც ანონიმი ინფორმატორისგან მიიღო შეტყობინება.

მოსამართლემ, რომელიც საქმეს განიხილავდა, ივარაუდა, რომ განსასჯელს ავტომატის წინ დიდი ხნის განმავლობაში ჯდომა და ერთისა და იმავე მანიპულაციის მონოტონურად გამეორება უწევდა. ამაზე მამაკაცმა უპასუხა, რომ მოწყენილობას რადიოს მოსმენით ებრძოდა.

საბოლოოდ თაღლითს 10 თვით პატიმრობა მიესაჯა

# სასიძოს საყვარელი ქორწილში საპატარძლო კაბით მივიდა



განაში (დასავლეთ აფრიკა) სასიძოს საყვარელი მის ქორწილში საპატარძლო კაბაში გამოწყობილი მივიდა, რომელიც დიზაინით პატარძლის კაბას წააგავდა.

მომხდარის ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა ატვირთული და ის 400 ათასზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა ნახა.

როგორც ვიდეორგოლში ჩანს, დაუპატიჟებელმა სტუმარმა ისტერიკა მოაწყო და ცერემონიის ჩაშლა ცადა. რით დასრულდა აღნიშნული ინციდენტი, უცნობია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# გიზო ჟორდანია ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს

რეჟისორი გიზო ჟორდანია ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. სამოქალაქო პანაშვიდი და ხელოვანთან გამოსამშვიდობებელი პანაშვილი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა.

რეჟისორი ბოლო გზაზე მეგობრებმა, კოლეგებმა, ოჯახის წევრებმა, სტუდენტებმა და რიგითმა მაყურებლებმა გააცილეს.

გიზო ჟორდანიამ 82 წლის განმავლობაში უმეტესი დრო ქართულ თეატრს დაუთმო. მას დადგმული აქვს 100-ზე მეტი სპექტაკლი და 70-ზე მეტი შოუ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელ რეჟისორს 80 წლის საიუბილეო თარიღის ფარგლებში, ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო „ხელოვნების ქურუმი" მიენიჭა.



გიზო ჟორდანიამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში. განსაკუთრებულია მისი როლი საქართველოს სახელმწიფო ოპერის თეატრის განვითარებაში. გიზო ჟორდანიას ბოლო დადგმით „აბესალომ და ეთერი" 2016 წელს ოპერის განახლებული თეატრი გაიხსნა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ჯასტინ ბიბერმა თაყვანისმცემელს სახეში გაარტყა




კანადელმა პოპმომღერალმა ჯასტინ ბიბერმა თაყვანისმცემელს სახეში მუშტი გაარტყა. შემთხვევის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

აღსანიშნავია, რომ ინციდენტი იმ მომენტში მოხდა, როდესაც მუსიკოსი ავტომობილით ბარსელონაში საკონცერტო დარბაზს უახლოვდებოდა. უცნობმა ახალგაზრდამ მანქანის ფანჯრის ჩაწეული მინით ისარგებლა და მას მისწვდა. მის შეხებას ბიბერმა სახეში მუშტის დარტყმით უპასუხა. ამის შედეგად ახალგაზრდას სისხლი წამოუვიდა.

# ავსტრალიური არწივები უპილოტო საფრენ აპარატებს დაერივნენ





ავსტრალიურმა არწივებმა თითქმის ყველა უპილოტო საფრენი აპარატი გაანადგურეს, რომლებსაც სამთომომპოვებელი კომპანია გოლდ ფიელდსი იყენებდა ავსტრალიაში სასარგებლო წიაღისეულის საძიებლად. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

მწყობრიდან არის გამოსული კომპანიის ათი უპილოტო საფრენი აპარატი. ერთი პილოტის შეცდომის გამო ჩამოვარდა, ხოლო დანარჩენები მტაცებელი ფრინველების თავდასხმის შედეგად დაზიანდა. ზოგიერთი აპარატი ერთდროულად ორი არწივის თავდასხმის ობიექტად იქცა.

თითოეული დრონი დაახლოებით 10 ათასი დოლარი ღირს, ხოლო ეს თანხა ორმაგდება, თუ მასზე მაღალი გარჩევადობის კამერაა დამონტაჟებული. კომპანიაში ამტკიცებენ, რომ უკვე დაახლოებით 100 ათასი დოლარი დახარჯეს განადგურებული აპარატების სანაცვლოდ ახალი აპარატების შესაძენად.

ავსტრალიური არწივების გაშლილი ფრთების სიგრძე 2,3 მეტრს აღწევს და ისინი სიდიდით ორჯერ აღემატებიან კომპანიის კუთვნილ უპილოტო საფრენ აპარატებს, რომელთა ფრთების სიგრძე ერთ მეტრს აღწევს.

# სელფის 76 ინდოელი ემსხვერპლა

2014 წლის მარტიდან მოყოლებული, სულ მცირე, 127 ადამიანი დაიღუპა სელფის გადაღების მცდელობისას. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კარნეგი-მელონის უნივერსიტეტის მკვლევრები.

მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ყველაზე ხშირად სელფის გადაღების მსხვერპლნი ინდოელები ხდებიან. სწორედ ამ ქვეყანაში დაფიქსირდა ყველაზე მეტი ინციდენტი. ამ მაჩვენებლით მეორე ადგილზეა პაკისტანი, სადაც ცხრა ადამიანია დაღუპული. ასევე სელფს ემსხვერპლა რვა ამერიკელი, ექვსი რუსი და ოთხი ჩინელი.

აღსანიშნავია, რომ ინდოეთში სელფის გადაღების მცდელობისას დაღუპულთა უმრავლესობა წყალში დაიხრჩო.



მართალია, ითვლება, რომ უფრო ხშირად სელფს ქალები იღებენ, დაღუპულთა 75,5 პროცენტი მამაკაცი აღმოჩნდა. გარდა ამისა, 127 დაღუპულიდან 86 24 წელზე ნაკლები ასაკის იყო.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

## პროგრამა

პარასკევი
25 ნოემბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 07.00 დ/ფ "ნამდვილი და თვითმარქვია ჟანა" 08.00 "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ტრიუმფი**" 12.20 მხ/ფ "**უცხო ჩვენს შორის**" 15.00, 02.10 "x სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" 21.00 ტ/სერ. "**შურისძიება**" 22.00 თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" 23.00 ტ/სერ. "**ამერიკელები**" 00.00 მხ/ფ "**მაიამის პოლიცია**" (ჯ.ფოქსი)

08.00, 14.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 09.00, 17.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 მხ/ფ "**ყინულის კაცი**" 12.00 ტ/სერ. "**გულის მუსიკა**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 15.00, 18.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "ეპიცენტრი" 22.00, 01.00 ტ/სერ. "**სად ხარ?!**" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35 სერ."**პატარძალი**" 18.50, 19.03 სერ. "**ღირსების სახელით**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 ღია ეთერი – პოლიტიკური თოქ შოუ 23.30 სერ. "**ვიკინგები**" 4 სერ. 00.30 მხ/ფ "**ხელმწიფის სახელით**" 03.00 მხ/ფ "**ტუზი**" 04.30 მხ/ფ "**ღარიბი მდიდარი გოგონა**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**წითელი და შავი**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**ოქროს გალია**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/ფ "**ფანბოი და ჩამჩამი**" 9.00, 19.00 სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" 10.00, 18.00 სერ. "**სკანდალი**" 11.00 სერ. "**კერძო პრაქტიკა**" 13.00, 2.05 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 20.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.00 სერ. "**ლურჯის ელფერები**" 23.00 სერ. "**მისტერ რობოტი**" 0.00 მხ/ფ "**ბნელი ჩრდილები**"

06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "ველური ბუნება" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 ლექციები მეფუტკრეობაზე 10.35 მხ/ფ "**უდიპლომო სასიძო**" 12.10 პორტრეტები 13.15 ერთხელ ბავშვობაში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 გამოყენებითი ხელოვნება "ქარგვა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 ბიბლია ბავშვებისთვის 15.40 სად უჩინარდებიან ჩემპიონები "სერგო კოტრიკაძე" 16.10 კონცერტი 17.00 მიწათმოქმედი "სათბურები" 17.30 ჩვენი საგანძური 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**საბუდარელი ჭაბუკი**" 20.40 ძილი ნებისა "წუნა და წრუწუნა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 ქვიშით ამღერებული პოეზია 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ნაიარევი ციხე ტაძრები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" 00.35 მგზავრები წუთისოფლისა 01.00 დ/ფ "მრავალთათვის საკეთილო-ერლომ ახვლედიანი" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**კარმელიტა**" 10.00 სერ. "**ეკატერინა**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 23.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 სერ. "**ორი გული**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.00 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.50, 2.30 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 19.55 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**ვინ თუ არა მე**" 21.55 სერ. "**გემი**" 22.40 სერ. "**ესკობარი**" 0.30 მხ/ფ "**უბრალო ჭეშმარიტება**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

25 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.4978

ევრო — 2.6602

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1183

100 რუსული რუბლი — 3.931

## ამინდის პროგნოზი 25 ნოემბრისთვის




# 22 ნოემბრიდან

## მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

## ონორე დე ბალზაკი

## მამა გორიო




ონორე დე ბალზაკის „მამა გორიოს“ ზოგი „ადამიანურ კომედიას“, ზოგი კი „ადამიანურ ტრაგედიას“ უწოდებს. მამა გორიო არ არის უბრალოდ მამა. ის არის მამა-მოწამე, რომელიც მოსწყდა თავის საქმეს, უარი თქვა ყოველგვარ პირადულზე და თავი საკუთარ ქალიშვილებს მიუძღვნა.

ბალზაკი ზოგჯერ დასცინის, ზოგჯერ ცრემლებს ღვრის გორიოს გამო. და მაინც, რა იყო მამა გორიოს მთავარი შეცდომა? ამ კითხვაზე პასუხი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ თავად უნდა მოვძებნოთ.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

# 24 ნოემბრიდან

## ბიბლიური იგავები




გადაშალე ეს მშვენიერი წიგნი და იმოგზაურე ულამაზეს ბიბლიურ სამყაროში. შეხვდი კეთილ სამარიტელს, მოუსმინე მოწყალე მეფეს, ნახე, როგორ ეგებება მამა დიდი ხნის დაკარგულ შვილს, გაიგე, როგორ მიატოვა მწყემსმა მთელი ფარა ერთი დაკარგული ცხვრის პოვნის გამო.

ეს ბიბლიური იგავებია სიბრძნით სავსე, ხალისიანი და დამაფიქრებელი ამბებით.

ეს შენი წიგნია, სავსე ცოდნითა და ხალისით.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

# დენიელ დრინკვოტერმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო



ლესტერის საყრდენმა ნახევარმცველმა დენი დრინკვოტერმა უოტფორდის წინააღმდეგ შეხვედრაში უხეშობის გამო სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

დრინკვოტერმა მეტოქე გუნდის ფეხბურთელს იდაყვი ჩაარტყა, მსგავსი რამ კი ინგლისში მკაცრად ისჯება.

შარშანდელი ჩემპიონი ლესტერი წელს უკვე ველარ აჩვენებს კარგ თამაშს და კლაუდიო რანიერის გუნდი გასავარდნ ზონასთან ახლოს არის.

როგორც ჩანს, ლესტერის ფეხბურთელებს მსგავსი ვითარება ანერვიულებთ, რაც მეტოქე გუნდის მიმართ უხეშობაში გადადის.

# გარეტ ბეილი ელ კლასიკოს გამოტოვებს

მადრიდის რეალის უელსელი ფეხბურთელი გარეტ ბეილი ბარსელონასთან შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებს. ამის შესახებ ცნობილი ხუთშაბათს გახდა.

ბეილს ლისაბონის სპორტინგთან შეხვედრაში ეუხეშნენ, რის შემდეგაც მან მოედანი დროზე ადრე დატოვა.

პირველადი ვარაუდით, ტრავმა სერიოზული არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ბეილმა, შესაძლოა, თვეზე მეტი გამოტოვოს, რაც მის ბარსელონასთან თამაშს გამორიცხავს.



რეალისთვის ბეილის არყოფნა უდავოდ დიდი დანაკლისი იქნება.

ბარსელონა-რეალის შეხვედრა 3 დეკემბერს ბარსელონაში გაიმართება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# იუმორი



– რომ არსებობდეს კონკურსი, ვისია ყველაზე ცუდი სამუშაო, უეჭველად მე მოვიგებდი, – თქვა კბილის ჯაგრისმა.

– არც იოცნებო, – უპასუხა ტუალეტის ქაღალდმა.

●●●

დიდი ხნის უნახავი დაქალები შეხვდნენ ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– გათხოვდი?

– ჰო.

– მერე, როგორია?

– როგორც ბავშვობაში! არ დააგვიანო, უცხო მამაკაცებს არ დაელაპარაკო!

●●●

ცოლი ქმარს ეჩხუბება:

– ლუდი, ღვინო და არაყია შენი დაუძინებელი მტერი!

– მერე, რა გინდა, რომ მტერს შევუშინდე?

●●●

მეზობელი ოსთან შევა და ხედავს, კომპიუტერის წინ შიშველი ზის. გაოცებული ეკითხება:

– რას აკეთებ?

– გახდაზე ვეთამაშები, სენი წილიმე.

●●●

კაცმა თავისი ახლად დაბადებული ბანჯგვლიანი ბავშვი ნახა და ცოლს ეკითხება:

– ქალო, ე ბალღი გააჩინე, თუ მოქსოვე?

●●●

სახლში გვიან დაბრუნებულ ცოლს ქმარი ეკითხება:

– ამბავი მომიტანეს შენზე, რომ შალიკომ ტყეში შეგიტყუა და შენც ტუსტუსით გაჰყევი, მართალია?

– უიმეე! რა უნამუსო და ჭორიკანა ხალხია, სად არის იქა ტყე? ერთი გაქუცული, ტოტებდამტვრეული მუხა დგას!

●●●

სოფლელს ქალაქიდან სტუმრები ჰყავს. ცოლს შეუძახა:

– აბა, ქალო, მაიტა.

ცოლმაც სუფრა გაშალა. იქეიფეს და გათავდა ყველაფერი. ქმარმა ისევ დაუძახა:

– ქალო, მაიტა.

ცოლმაც განაახლა სუფრა. სტუმრებმა დალიეს, შეჭამეს ყველაფერი და მაინც არ მიდიან. კაცმა ისევ დაუძახა ცოლს:

– ქალო, მაიტა.

– რაღა მოვიტანო, კაცო, აღარაფერი გვაქვს.

– ამათი პალტოები მაიტა, მე ამათი დედაც...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




# 25 ნოემბრიდან

## პირველად ქართულ ენაზე!




# ყბები

პიტერ ბენჩლის ლეგენდარული ტრილერი

გაუმაძღარი უზარმაზარი თეთრი ზვიგენი ემიტი აილენდის მცხოვრებლებს ატერორებს.

ოკეანოლოგი, პოლიციის უფროსი და ზვიგენებზე მონადირე ამ სისხლისმსმელი არსების დასამარცხებლად იბრძვიან.

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**

# სტივენ ჯერარდმა კარიერა დაასრულა



ლეგენდარულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა სტივენ ჯერარდმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა.

ჯერარდმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, სადაც მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ამ წლების განმავლობაში მის გვერდით იყვნენ.

ჯერარდი 36 წლის არის და მისი ბოლო გუნდი ლოს ანჯელეს გელექსი იყო, სადაც მან წელიწადნახევარი გაატარა.

გელექსი ჯერარდმა ნოემბერში დატოვა და ვრცელდებოდა ხმები იმის შესახებ, რომ ის ლივერპულში აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ ეს სიმართლე არ აღმოჩნდა.

სტივენ ჯერარდმა ლივერპულში 17 წელიწადი გაატარა და 2005 წელს გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგაც მოიგო.

# ბარსელონამ ჩემპიონთა ლიგაში რეკორდი დაამყარა



ბარსელონამ ჩემპიონთა ლიგაში კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა. კატალონიელები პირველი გუნდია, რომელმაც ამ ტურნირზე სტუმრად 100 შეხვედრის მოგება შეძლო. მე-100 გამარჯვებას ბარსელონამ გლაზგოში ადგილობრივ სელტიკთან მიაღწია. შეხვედრა საკმაოდ საინტერესო გამოდგა და სელტიკმა ბარსელონას ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ გადამწყვეტი როლი ისევ ბარსელონის სუპერვარსკვლავმა ლიონელ მესიმ ითამაშა, რომელმაც შოტლანდიელთა კარი ორჯერ აიღო.

სელტიკთან გამარჯვების შემდეგ ბარსელონამ თავის ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა.

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. „კლდის ვეფხვად“ წოდებული ქართველი ალპინისტი; 2. უმცროსი მატროსი გემზე; 3. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. უბანი თბილისში; 7. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 9. ლუთერანული ეკლესია; 12. ნიშან-თვისებების ერთობლიობა რაიმეს შეფასების ან კლასიფიკაციისთვის; 14. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 15. უძველესი ქართული დამწერლობა; 17. საჯარო კამათი მეცნიერულ ან ლიტერატურულ საკითხებზე; 20. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში.

**თარაზულად**: 5. ტემპერატურის შკალის გამომგონებელი შვედი ასტროფიზიკოსი; 6. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის“ მუსიკის ავტორი; 10. უბანი სოხუმში; 11. პანტომიმის ძველი ქართული სახელწოდება; 13. უმოტორო საფრენი აპარატი; 16. ბატონის მიერ ეკლესიისთვის გადაცემული ყმა ფეოდალურ საქართველოში; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 19. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. უზადო, უბიწო, უმწიკვლო; 22. თბილისთან დამეგობრებული ინგლისის ქალაქი; 23. ბუდიზმის დამფუძნებელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

